ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების
რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for
vulnerable groups

PENAL REFORM INTERNATIONAL

საყოფაცხოვრებო პირობები პენიტენციურ სისტემაში

სამაგიდე კვლევა

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

PENAL REFORM INTERNATIONAL

წინამდებარე სამაგიდო კვლევა მოამზადა ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ (ავტორი: ნატალია ცაგარელი). კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის – „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორის, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველად.

The publication has been produced by Rehabilitation Initiative of Vulnerable Groups (Author: Natalia Tsagareli) within the framework of the EU funded project “Monitoring Government’s Commitments and Promoting Penal Reforms through the Engagement of CSOs” which is implemented by Penal Reform International South Caucasus Regional Office. The contents of this document is the sole responsibility of the Author and can in no circumstances be regarded as reflecting the position of either the donor or Penal Reform International, or its partner organisations.

2018 წელი

სარჩევი

შესავალი 5

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 5

საერთაშორისო სტანდარტები 6

ადგილობრივი კანონმდებლობა.....11

სახალხო დამცველის ანგარიშების მეორადი ანალიზი 14

შესავალი

უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურასა და საყოფაცხოვრებო პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ უშუალოდ ამ თემასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტებისა და ამ ნაწილში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის კუთხით, არამედ პირდაპირ უკავშირდება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიც არის მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის შესაძლებლობა, დაწესებულების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა, კრიმინალურ სუბკულტურასთან გამკალავება და ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას პენიტენციური სისტემა ინფრასტრუქტურის კუთხით.

გარდა საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო სტანდარტებისა, საყოფაცხოვრებო პირობების კუთხით ძირითად წყაროს სახალხო დამცველის ანგარიშები წარმოადგენს, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება პრაქტიკულად არსებული სიტუაციის შეფასება. აღნიშნული ნაწილის შესავსებად მნიშვნელოვანია პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის განხორციელება, სამომავლო ინფრასტრუქტურული გეგმების შესახებ ინფორმაციის მისაღებად კი პენიტენციური სისტემის მაღალი თანამდებობის პირებთან გასაუბრება თვისებრივი კვლევის ფარგლებში.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

საქართველოს სახალხო დამცველის 2014-2017 წლების ანგარიშებში საუბარია მთელ რიგ ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე, რომელთა ნაწილიც წლიდან წლამდე მოგვარდა ან გაუმჯობესდა, თუმცა გამოწვევების დიდი ნაწილი კვლავ აქტუალურია და მიუხედავად არაერთი განმეორებითი რეკომენდაციისა, კვლავაც საჭიროებს მოგვარებას.

კვლავაც აქტუალურია საკნებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მხრივ, სათანადო ვენტილაციასთან და საკმარის განათებასთან დაკავშირებული პრობლემები; პატიმართა განთავსების პრაქტიკის თავისებურება (ე.წ. ბარაკული ტიპის საცხოვრებლები, სადაც მწეველი და არამწეველი პატიმრები ერთ სივრცეში ცხოვრობენ); მინიმალური საცხოვრებელი ფართის პრობლემა; პრობლემები სასეირნო ეზოების დაგეგმარების, დიზაინისა და მოწყობის კუთხით. განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებისთვის ვიდეოპაემნით სარგებლობის პრობლემა; პატიმრობის კოდექსით ბრალდებულების 4 კვ.მ.-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე დადგენა; ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგიის შემუშავება; N15 დაწესებულებაში გადატვირთულობის პრობლემის მოგვარების მიზნით, მსჯავრდებულების გადაყვანა სხვა ნახევრად ღია დაწესებულებაში და ამ პროცესში მსჯავრდებულების ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება; N2, N8, N12, N14, N15, N17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმრის უზრუნველყოფა 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით; N14 და N17 დაწესებულებებში ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლების გაუქმება; N2, N3, N6, N7, N8, N9, N12, N14, N15, N16, N17, N18, N19 დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის ბარიერის გარეშე; N18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნის ორგანიზების უზრუნველყოფა დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის შექმნის ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის საშუალებით; N2, N3, N6, N7, N9, N12, N14, N18 და N19 დაწესებულებებში ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა; დახურული ტიპის დაწესებულებებში ტელეფონების მოთავსება ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნება სატელეფონო ზარი განახორციელოს დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე; დეესკალაციის ოთახებში უსაფრთხო გარემოს შექმნის აუცილებლობა, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთების გზით; პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში სათანადო სანიტარული ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა, განათება და ვენტილაცია.[1]

1 2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, გვ 22-23.

რეკომენდაციები:

- მცირე ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებზე გადასვლა;
- ბრალდებულების/მსჯავრდებულების მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში;
- საკანონმდებლო დონეზე ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანაბარი მინიმალური საცხოვრებელი ფართის განსაზღვრა;
- ეზოების ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში;
- განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებისთვის ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების უზრუნველყოფა;
- N2, N3, N6, N7, N8, N9, N12, N14, N15, N16, N17, N18, N19 დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის ბარიერის გარეშე;
- N18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნის ორგანიზების უზრუნველყოფა დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის შექმნის ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის საშუალებით;
- N2, N3, N6, N7, N9, N12, N14, N18 და N19 დაწესებულებებში ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- დახურული ტიპის დაწესებულებებში ტელეფონების მოთავსება ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნება სატელეფონო ზარი განახორციელოს დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე;
- პენიტენციურ დაწესებულებებში სათანადო სანიტარული ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა, განათებისა და ვენტილაციის საკითხების მოგვარება.[2]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაც სახალხო დამცველის ანგარიშშია მოცემული, სამინისტროდან განსხვავებული ინფორმაცია მივიღეთ (ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება, მინიმალური ფართით უზრუნველყოფა, სასეირნო ეზოების მოწყობა), რაც მნიშვნელოვანია გადამოწმდეს მონიტორინგის განხორციელების გზით.

საერთაშორისო სტანდარტები

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტიტეტის რეკომენდაციების მიხედვით, ცხოვრება ციხეში შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს. პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან. პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი, საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემისა და განმარტოების მოთხოვნებს. ასევე, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობის, განათებისა და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით. ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათებისას ნორმალურ პირობებში, ასევე მოხდეს სუფთა ჰაერის მოძრაობა. ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს, უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს. ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ ამ მოთხოვნების დარღვევა არ მოხდეს ციხეების გადატვირთულობის გამო. პატიმრების განთავსება ღამით ჩვეულებრივ უნდა მოხდეს ინდივიდუალურ საკნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უმჯობესია მათი მოთავსება საერთო საძინებელში. საცხოვრებლის საერთო გამოყენება უნდა იყოს შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ ეს ამ მიზნის შესაბამისია და პატიმრებიც ეთავსებიან ერთმანეთს. პატიმრებს შეძლებისდაგვარად უნდა მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა, სანამ მიეთითებათ საძინებლის ერთობლივი გამოყენება.[3] ციხის ყოველი ნაწილი უნდა იყოს სუფთა მდგომარეობაში, საკნები და სხვა განყოფილებები, რომლებშიც პატიმართა განთავსება ხდება უნდა იყოს სუფთა. პატიმრებს იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი სანიტარული სადგომებისადმი, რომლებიც ჰიგიენურია და განმარტოების საშუალებას იძლევა. ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს შხაპით ან აბაზანით კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში, თუ ეს შესაძლებელია დღიურად, ან კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა, უფრო ხშირადაც).

2 იქვე, გვ 22-23.

3 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), განაწილება/განთავსება, მ 18/3- 18/7.

პატიმრებმა სუფთად და მოწესრიგებულად უნდა იქონიონ ტანსაცმელი და საძინებელი, ასევე ყურადღება მიაქციონ პირად ჰიგიენას. ამისათვის ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ისინი ტუალეტის და ჰიგიენური საშუალებებითა და მასალებით. უნდა მოხდეს ქალთა სანიტარული საჭიროებების უზრუნველყოფა. ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით და ცალკე სათანადო ქვეშაგებით, რომელიც მოწესრიგებულ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და შეიცვალოს იმდენად ხშირად, რომ მისი სისუფთავე იქნეს დაცული.[4] იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეიძლება ამის პრაქტიკაში გატარება, მიუსჯელ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს, სურს თუ არა ოთახში მარტო ცხოვრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეიძლება უკეთესი იყოს მისი სხვა მიუსჯელ პატიმართან ერთად ცხოვრება ან სასამართლოს მიღებული აქვს სპეციალური გადაწყვეტილება, თუ როგორ უნდა იქნას მიუსჯელი პატიმარი განთავსებული.[5]

საყოფაცხოვრებო პირობებს ეხება ასევე გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები).[6] როგორც მანდელას წესები, ასევე ევროპული ციხის წესები მიუთითებს, რომ მათი გამოყენება უნდა მოხდეს ყველა პატიმრის მიმართ ნებისმიერი ფორმით მათი დისკრიმინაციის გარეშე. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა ასპექტები მოარგოს ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათი სრული, ეფექტური და თანაბარი წვდომა ციხის ცხოვრებაზე.[7] „იქ, სადაც პატიმრები ათევენ ღამეს, ცალკეულ საკნებში თუ ოთახებში, ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს ცალკე საკანი ან ოთახი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა, მაგალითად, დროებითი გადატვირთულობა, აუცილებელი ხდება ციხის ადმინისტრაციამ მიიღოს გამონაკლისი წესი. არ არის სასურველი ორი პატიმრის ერთ საკანში ან ოთახში მოთავსება. იქ, სადაც არის საერთო საკნები, მათში მოთავსებული პატიმრების შერჩევა უნდა ხდებოდეს ძალიან გულდასმით, რათა ეჭვგარეშე იყოს რომ მათ შეუძლიათ ასეთ პირობებში ერთად ცხოვრება. ღამღამობით უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების ხასიათთან შესაბამისი მუდმივი ზედამხედველობა.“[8] ყველა ადგილი, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ჰაერის კუბურ მოცულობას, მინიმალურ ფართობს, განათებას, გათბობას და ვენტილაციას.[9] ყველა დაწესებულებაში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე და უნდა იყოს ისე კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა; ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე.[10] სანიტარული მოწყობილობები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ თითოეულმა პატიმარმა შეძლოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საჭიროებისამებრ, სისუფთავის პირობებში.[11] სათანადო სააბაზანო და საშხაპე მოწყობილობანი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ისე, რომ ყოველ პატიმარს შეეძლოს და იყოს ვალდებული იბანაოს ან მიიღოს შხაპი შესაბამის ტემპერატურაზე (კლიმატის მიხედვით) და ისეთი სიხშირით, როგორც ამას მოითხოვს ჰიგიენის საერთო პირობები, წლის პერიოდისა და გეოგრაფიული რაიონის გათვალისწინებით, ანუ ზომიერი კლიმატის პირობებში - კვირაში ერთხელ მაინც. დაწესებულების ყველა იმ ნაწილში რომლითაც პატიმრები რეგულარულად სარგებლობენ, უნდა იყოს სათანადო წესრიგი და განსაკუთრებული სისუფთავე.[12] ყოველი პატიმარი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე საწოლით ადგილობრივი და ეროვნული ნორმების შესაბამისად, აგრეთვე ცალკე საკმარისი ოდენობის თეთრეულით, რომელიც გაცემის მომენტში უნდა იყოს სუფთა და სისუფთავის შენარჩუნების მიზნით ხშირად იცვლებოდეს.[13] ამ წესებში განხილული ზოგადი საცხოვრებელი პირობები, მათ შორის განათებასთან, ვენტილაციასთან, ტემპერატურასთან, სანიტარიასთან, კვებასთან, სასმელ წყალთან, სუფთა ჰაერსა და ფიზიკურ ვარჯიშთან, პირად ჰიგიენასთან, ჯანდაცვასთან და ადეკვატურ პირად სივრცესთან დაკავშირებული წესები გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა ციხეში, გამონაკლისის გარეშე.[14] გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა, ქალ პატიმართა განთავსებისა და საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით სტანდარტებს განსაზღვრავს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ“ (ბანგკოკის წესები). ეს წესებიც ევროპული ციხის წესების მსგავსად, მიუთითებს, რომ პატიმარი ქალები განთავსებულნი უნდა იყვნენ მათ საცხოვრებელ ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან, ასევე მათი არჩევანისა და

4 იქვე, ჰიგიენა, მ 19, მ 21.
5 იქვე, მ 96.
6 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, (მანდელას წესები), წინასწარი შენიშვნა.
7 იქვე, წესი 5.
8 იქვე, წესი 12.
9 იქვე, წესი 13.
10 იქვე, წესი 14.
11 იქვე, წესი 15.
12 იქვე, წესი 17.
13 იქვე, წესი 21.
14 იქვე, წესი 42.

შესაბამისი პროგრამებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის მიხედვით.[15] ქალი პატიმრების განთავსების ადგილს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საშუალებები და ნივთები, რაც დააკმაყოფილებს ქალთა განსაკუთრებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს, მათ შორის ბავშვებისა და ქალების პირადი ჰიგიენისთვის საჭირო სანიტარული პირსახოცები და წყალი, რომელიც მიწოდებული უნდა იქნას რეგულარულად და უფასოდ.[16] ცალკე სტანდარტებია განსაზღვრული არასრულწლოვან პატიმრებთან დაკავშირებით. „წევრი ქვეყნების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის“ განსაზღვრავს მნიშვნელოვან სტანდარტებს არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, კერძოდ „არასრულწლოვანთა დაწესებულებები უნდა განლაგდეს ადვილად მისადგომ ადგილებში და ხელს უწყობდეს კონტაქტებს არასრულწლოვნებსა და მათ ოჯახებს შორის. ისინი საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში უნდა იყვნენ ინტეგრირებულნი.[17] სხვადასხვა კატეგორიის არასრულწლოვანთა დაწესებულებებში განთავსებისას უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი ტიპის მოვლა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ კონკრეტულ მოთხოვნებს და მათი ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობისა და კეთილდღეობის დაცვას.[18] რეკომენდაციის თანახმად, ქალების მსგავსად არასრულწლოვნებიც შეძლებისდაგვარად უნდა მოთავსდნენ მათი საცხოვრებელი სახლებიდან ან სოციალური რეინტეგრაციის ადგილებიდან ადვილად მისასვლელ დაწესებულებებში. „არასრულწლოვნისთვის გათვალისწინებული საცხოვრებელი პირობები, განსაკუთრებით კი საძინებელი პირობები ისეთი უნდა იყოს, რომ არ ლახავდეს ადამიანის ღირსებას, ითვალისწინებდეს კონფიდენციალურობის უფლებას, აკმაყოფილებდეს ჯანდაცვისა და ჰიგიენის მოთხოვნებს, სათანადო ყურადღება ექცეოდეს კლიმატურ პირობებს და განსაკუთრებით გამოყოფილი ფართის რაოდენობას, ჰაერის კუბატურას, განათებას, გათბობას და ვენტილაციას. ამ საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული მინიმალური მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა იყოს გათვალისწინებული. ღამის განმავლობაში არასრულწლოვნები, როგორც წესი, ინდივიდუალურ საძინებლებში უნდა განლაგდნენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი თავად საერთო საძინებელში განლაგებას ანიჭებენ უპირატესობას. საერთო საკანში განთავსება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, თუ ეს ამ მიზნებს ემსახურება და თუ კონკრეტული არასრულწლოვნების ურთიერთობა დასაშვებია. სანამ საერთო დაბინავებას შესთავაზებენ საჭიროა არასრულწლოვნებთან გასაუბრება, საიდანაც შეიძლება გაირკვეს, თუ ვისთან ერთად სურთ მათ საკანში ყოფნა.“[19] დაწესებულების ყველა ადგილი სათანადოდ უნდა ლაგდებოდეს და მუდმივად იყოს დაცული სისუფთავე. არასრულწლოვნები შეუფერხებლად უნდა სარგებლობდნენ აბაზანა-ტუალეტებით, რომლებიც ჰიგიენურია და იძლევა განმარტოების საშუალებას. უნდა არსებობდეს შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვანმა ყოველდღიურად მიიღოს კლიმატისათვის შესაფერი ტემპერატურის აბაზანა ან შხაპი. არასრულწლოვნებმა უნდა დაიცვან პირადი ჰიგიენა, სისუფთავეში იქონიონ საკუთარი ტანსაცმელი და საძინებელი, ხოლო ხელმძღვანელობამ უნდა ასწავლოს მათ როგორ მიაღწიონ ამას და მოამარაგონ ისინი ამისათვის აუცილებელი საშუალებებით.[20] ყველა არასრულწლოვანს უნდა გამოეყოს ცალკე საწოლი და ცალკე თეთრეული, რომელიც წესრიგში იქნება და საკმაოდ ხშირად გამოიცვლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სისუფთავე.[21] საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით, გარკვეულ სტანდარტებს ადგენს ასევე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 45/113 რეზოლუციით მიღებული „წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ (ჰავანას წესები). წესების თანახმად, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა მოხდეს და მათი კატეგორიებად დაყოფა მიზნად უნდა ისახავდეს მათთვის ყველაზე შესაფერისი ფიზიკური, მენტალური და მორალური კეთილდღეობის შექმნას.[22] ამავე რეზოლუციის თანახმად, არასრულწლოვნები უნდა განთავსდნენ სრულწლოვნებისაგან განცალკევებით; არასრულწლოვანთა დაწესებულებები ინტეგირებული უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში. არასრულწლოვანთა დაწესებულებებში შესაძლებელი უნდა იყოს სარეაბილიტაციო მიზნების განხორციელება, არასრულწლოვანთა პრივატულობის დაცვა, თანატოლებთან ურთიერთობა, სპორტულ, ფიზიკურ, თავისუფალი დროის დაგეგმვის აქტივობებში მონაწილეობა. დაწესებულების სტრუქტურა და დიზაინი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ხანძრის საშიშროება და უზრუნველყოფილი იყოს შენობიდან უსაფრთხო ევაკუაცია. უნდა არსებობდეს ეფექტიანი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, ასევე არასრულწლოვანთა უსაფრთხოების დაცვის ფორმალური პროცედურები. დაწესებულებები არ უნდა იყოს განლაგებული ისეთ ადგილებში, რომლებიც ჯანმრთელობისათვის საშიშია და გარკვეულ რისკებს შეიცავს.[23] საძინებლები უნდა წარმოადგენდეს მცირე ჯგუფებისათვის განკუთვნილ ან ინდივიდუალურ ოთახებს, რომლებზეც არასრულწლოვანთა

15 გაეროს წესები ქალ პატიმართა მიმართ მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 4.

16 იქვე, წესი 5.

17 „ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის“, მუხლი 53.

18 იქვე, მუხლი 54.

19 იქვე, მუხლი 64.

20 იქვე, მუხლი 65.

21 იქვე, მუხლი 67.

22 გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია თავისუფლებააღკვეთილ არასრუწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანას წესები), მ 28.

23 იქვე, მუხლი 32.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განუწყვეტლივ ხორციელდება ვიზუალური მეთვალყურეობა. სანიტარული წერტილი უნდა იძლეოდეს ბუნებრივი მოთხოვნილებების პრივატულად და ღირსეულ გარემოში დაკმაყოფილების შესაძლებლობას.[24] არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ნივთების შესანახი ადგილი. მნიშვნელოვანია, ასევე გათვალისწინებული იქნას რეკომენდაციები, რომლებიც ასახულია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში „სამუდამო თავისუფლებააღკვეთილ და ხანგრძლივ ვადიანი სასჯელის მქონე პირებთან დაკავშირებით." ხანგრძლივვადიან სასჯელში იგულისხმებიან პირები, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა 5 წლით ან მეტი ვადით. „მათთან მიმართებაში მნიშვნელოვანია შექმნილი იყოს სასიამოვნო და მეგობრული ციხის გარემო, ისევე, როგორც პენიტენციური დაწესებულების ავეჯი და დეკორაციები."[25] პენიტენციური დეპარტამენტის განმარტებით, ამჟამად უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობები და გარემო გათვალისწინებული არ არის, ვინაიდან ყველა მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულია საშიშროების რისკის შესაბამისად და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია პატიმრობის კოდექსით.

საყოფაცხოვრებო პირობების ანალიზისას მნიშვნელოვანია წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის (წპკ-ს) მიერ შემუშავებული როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიურ ჯგუფთან მიმართებით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება. წპკ-ს მიერ განსაზღვრულია პენიტენციურ დაწესებულებაში პერსონალური საცხოვრებელი ფართის მინიმალური სტანდარტი, რომელიც შეადგენს: 6 მ2 ერთადგილიანი საკნისთვის + სანიტარული კვანძი, 4მ2 რამდენიმეადგილიან საკანში + სანიტარული კვანძი, სულ მცირე 2 მეტრი უნდა იყოს დაშორება საკნის კედლებს შორის, ხოლო 2.5 მეტრი ჭერსა და იატაკს შორის.[26]

წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები ადგენს არა მხოლოდ მინიმალურ სტანდარტულ ფართს, არამედ ეხება ასევე იმ საკნებს, სადაც ხდება 6 ან მეტი პირის განთავსება. კომიტეტი ეწინააღმდეგება ამგვარ კონცეფციას და აკრიტიკებს მრავალადგილიანი საკნების იდეას, მიიჩნევს რომ ეს ქმნის არა მხოლოდ არაპრივატულ გარემოს, არამედ ზრდის დაშინებისა და ძალადობის რისკს, რისი მართვაც დაწესებულების პერსონალისთვის ძალიან რთულია. შესაბამისად, კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას გაუქმდეს მრავალადგილიანი საძინებლები და შეიცვალოს უფრო ნაკლებადგილიანი საკნებით.[27] მინიმალური ფართის გამოთვლისას არ უნდა მოხდეს სანიტარული კვანძის ჩათვლა საკნის ფართში (რომელიც, როგორც წესი, 1მ2-დან 2 მ2-მდე მერყეობს). იქ, სადაც ორი ან მეტი პატიმარია, სანიტარული კვანძი მთლიანად უნდა იქნას იზოლირებული/გამოყოფილი.[28] წამების პრევენციის კომიტეტი მიუთითებს, რომ ერთადგილიანი საკნები, რომლებიც 6მ²-ზე ნაკლები ფართის მქონეა ან უნდა გაუქმდეს, ან გაფართოვდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პატიმრისთვის ადეკვატური საცხოვრებელი ფართი. [29]

მართალია, კომიტეტს პირდაპირ არ განუმარტავს, რას გულისხმობს მრავალადგილიან საკანში, თუმცა ვიზიტების ანგარიშების ანალიზი მიუთითებს, რომ ამ განსაზღვრების ქვეშ იგულისხმება საკნები, სადაც განთავსებულია ორიდან ოთხამდე პატიმარი. შესაბამისად, წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ ორი პატიმრის განსათავსებლად მისაღებია 8მ², 3 პატიმრისთვის 12მ², ხოლო 4 პატიმრისთვის 16მ², თუმცა წამების პრევენციის კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ სასურველ ან იდეალურ შემთხვევებში 8მ² ფართის მქონე საკანი განკუთვნილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი პატიმრისთვის. მაგ: ჰოლანდიაში 2011 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში კომიტეტი აღნიშნავს, რომ ორადგილიანი საცხოვრებელი საკანი, რომლის ფართი 8 და 10მ²-ია ქმნის გარკვეულ დისკომფორტს პატიმრებისთვის, იმავე წელს ირლანდიაში ვიზიტის ანგარიშში კი მიუთითებს, რომ „მიღებული უნდა იქნას ზომები, რომ არ მოხდეს ორი პატიმრის განთავსება 8მ²-ის ფართის საკნებში."[30] ზემოთ მითითებული სტანდარტები ცხადყოფს, რომ 4მ² ფართი პატიმარზე მაინც გულისხმობს ვიწრო გარემოს, როდესაც საუბარია მცირე რაოდენობის პატიმრების ერთად განთავსებაზე. მართლაც, თუ გავიხსენებთ, რომ 6მ² მინიმალური სტანდარტული ფართია ერთი პატიმრისთვის, გასაგებია, რომ 8მ² ვერ იქნება საკმარისი საცხოვრებელი ფართი ორი პატიმრისთვის. წამების პრევენციის კომიტეტის აზრით, მიზანშეწონილია მოხდეს ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით, მით უფრო, რომ 4მ² წარმოადგენს მხოლოდ მინიმალურ სტანდარტს.[31] შესაბამისად, კომიტეტმა გადაწყვიტა მრავალადგილიანი (4 პატიმრამდე) საკნისთვის დააწესოს შემდეგი სტანდარტი ერთადგილიანი საკნის მინიმალურ საცხოვრებელ ფართს 6მ2 -ს თითო პატიმარზე დაუმატოს 4მ2 , შესაბამისად 2 ადგილიანი საკნის საცხოვრებელი ფართი იქნება 10მ² (6მ² + 4მ²) საცხოვრებელი ფართი + სანიტარული კვანძი; 3 პატიმრისთვის: მინიმუმ 14მ² (6მ² + 8მ²) საცხოვრებელი ფართი + სანიტარული ფართი; 4 პატიმრისთვის: მინიმუმ 18 მ² (6მ² + 12მ²) საცხოვრებელი ფართი + სანიტარული კვანძი.

24 იქვე, მუხლი 33–34.

25 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში სამუდამო თავისუფლებააღკვეთილ და ხანგრძლივ ვადიანი სასჯელის მქონე პირებთან დაკავშირებით, მ 21.

26 წამების, სხვა სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები პენიტენციურ დაწესებულებაში საცხოვრებელი ფართის შესახებ, ძირითადი დებულებები.

27 იქვე მ 7.

28 იქვე მ 10.

29 იქვე მ 10.

30 იქვე მ 14.

31 იქვე მ 15.

შესაბამისად, 8-9 მ² ფართიან საკანში მიზანშეწონილია არ იყოს განთავსებული ერთზე მეტი, ხოლო 12მ²-იან საკანში 2-ზე მეტი პატიმარი.[32]

კომიტეტი მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს გამოიყენონ ეს უფრო მაღალი სტანდარტი, განსაკუთრებით ახალი პენიტენციური დაწესებულებების მშენებლობის პროცესში. წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტებიც, სხვა დოკუმენტების მსგავსად მიუთითებს, რომ საკნებს უნდა ჰქონდეს, როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნული განათება, რაც საკმარისი იქნება კითხვისთვის. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაცია, რათა ჰაერი ოთახში მუდმივად განიავდეს, ასევე უნდა მოხდეს საკნების გათბობის უზრუნველყოფა. რაც შეეხება სანიტარულ კვანძებს, თითოეულ საკანში უნდა იყოს სულ მცირე საპირფარეშო და ხელსაბანი. მრავალადგილიან საკნებში საპირფარეშო სრულად უნდა იყოს იზოლირებული/განცალკევებული (ჭერამდე). იქ, სადაც საპირფარეშო საკანში არ არის, პატიმრებს უნდა შეეძლოთ შეუზღუდავად ისარგებლონ საპირფარეშოთი. რაც შეეხება წპკ-სტანდარტს ქალებთან მიმართებაში, აქაც აღნიშნულია, რომ პრიორიტეტი ენიჭება მცირე ზომის საცხოვრებელ განყოფილებებს, რომლებიც უკეთ ერგება ქალების სპეციალურ საჭიროებებს. რაც შეეხება ჰიგიენას, გათვალისწინებული უნდა იყოს ქალთა სპეციალური საჭიროებებით (ჰიგიენური პროდუქტები, ტამპონები, ჰიგიენური პაკეტები) უზრუნველყოფა. ამგვარი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა შესაძლოა გაუთანაბრდეს არაადამიანურ მოპყრობას. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ასევე საპირფარეშოთი შეუზღუდავი სარგებლობა.[33]

თავისუფლების აღკვეთის შესახებ წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტებში აღნიშნულია, რომ გადატვირთულობის საკითხი პირდაპირ უკავშირდება კომიტეტის მანდატს. გადატვირთულობა ხელს უშლის დაწესებულების ფუნქციონირებას. აქვე საუბარია მრავალადგილიანი საკნების კონცეფციაზე და აღნიშნულია, რომ ცოტა რამ შეიძლება ითქვას მათ სასარგებლოდ და ბევრი რამ მათ საწინააღმდეგოდ. მრავალადგილიანი ოთახები ხელს უშლის პრივატულობის უზრუნველყოფას პატიმართა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისინი ხელს უწყობს დანაშაულებრივი სუბკულტურის გავრცელებასა და კრიმინალური დაჯგუფებების შეკავშირებას, ართულებს თანამშრომლების მხრიდან შესაბამისი ზედამხედველობის განხორციელებას. ასეთ პირობებში პატიმართა რისკების მიხედვით განთავსება და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება თითქმის შეუძლებელი ხდება.[34] მეტალის გისოსების ან უსაფრთხოების სხვა ზომების გამოყენებამ არ უნდა შეზღუდოს პატიმრებისთვის ბუნებრივი სინათლისა და სუფთა ჰაერის მიწოდება; ეს არის სიცოცხლისათვის აუცილებელი მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლით სარგებლობაც ნებისმიერ პატიმარს შეუძლია. მათი შეზღუდვა ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების, განსაკუთრებით კი ტუბერკულოზის გავრცელებას. წამების პრევენციის კომიტეტის განცხადებით, კომიტეტი აცნობიერებს, რომ ზოგადად პატიმრებისთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა ფანჯრის მაბლოკირებელი მოწყობილობების მოხსნა და მათი ალტერნატიული უსაფრთხოების ზომებით ჩანაცვლება დიდ ხარჯებს არ უკავშირდება, ამავდროულად, კი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პატიმართა მდგომარეობას.[35] რაც შეეხება სამარტოო საკანში არსებულ საყოფაცხოვრებო პირობებს, მათ მინიმალურ ფართზე ვრცელდება იგივე პირობები, რაც ზოგადად არის მიღებული. ისინი უნდა იყოს ადეკვატური ზომის, უზრუნველყოფილი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, გათბობითა და ვენტილაციით, ასევე აღჭურვილი უნდა იყოს დაწესებულების თანამშრომლებთან კომუნიკაციის საშუალებებით. პატიმარს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი საჭიროებების ნებისმიერ დროს ღირსეულ პირობებში დაკმაყოფილების უფლება, ასევე შხაპის მიღების უფლება მისთვის განსაზღვრული რეჟიმის შესაბამისად.[36] წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ ძალიან ხშირად, განსაკუთრებით, როდესაც სამარტოო საკანში მოთავსება ხდება დისციპლინური ზომის სახით, საკნები განთავსებულია სარდაფის ტიპის ტერიტორიაზე, სადაც არ არის საკმარისი განათება, ვენტილაცია და ნესტია. ხშირად ასეთი საკნები ძალიან მცირე ზომისაა 3-დან 4 მ2 -მდე. ამასთან დაკავშირებით კომიტეტი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი საკანი, რომლის ფართი 6მ²-მდეა უნდა გაუქმდეს. ასევე ხშირად არაადეკვატურია სასეირნო სივრცეც. ხშირად დისციპლინური ზომის აღსრულებისთვის გათვალისწინებულ სამარტოო საკნებს არ აქვთ საკმარისი ავეჯი. კომიტეტის განმარტებით, ასეთი საკნები მინიმუმ აღჭურვილი უნდა იყოს მაგიდით, სკამით, საწოლითა და შესაბამისი თეთრეულით/ქვეშაგებით.[37]

წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, ძირითადად ეხმიანება სხვა საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრულ წესებს, კერძოდ, აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნები უნდა განთავსდნენ სპეციალურად მათთვის არსებულ დაწესებულებაში, თუმცა თუ მაინც მოხდება მათი განთავსება ზრდასრულთა დაწესებულებაში, ეს უნდა მოხდეს ცალკე განყოფილებაში. სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვნების ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფას, რათა მოხდეს მათი საჭიროებების საუკეთესოდ გათვალისწინება. ასევე, შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული მათ განსაცალკევებლად, რათა თავიდან იქნას აცილებული მათ შორის არასასურველი

32 იქვე მ 16-17.

33 წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის სტანდარტები ქალ პატიმრებთან დაკავშირებით, მ21-22.

34 პატიმრობასთან დაკავშირებით წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის სტანდარტის დაზუსტება/განვითარება (ამონარიდი 2001 წლის მე-11 ზოგადი ანგარიშიდან), მ 29.

35 იქვე, მ 30.

36 იქვე, მ 58.

37 იქვე, მ 59-60.

გავლენები, დომინირება და დამცირება.[38] არასრულწლოვნები განთავსებულნი უნდა იყვნენ ოთახებში, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი განათებითა და ვენტილაციით. უმჯობესია მათი განთავსება მოხდეს ინდივიდუალურ ოთახებში, სხვა შემთხვევაში უნდა არსებობდეს შესაბამისი ახსნა, რატომ არის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესში მისი სხვასთან ერთად მოთავსება საძინებელ ოთახში. ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, სურს თუ არა საძინებლის სხვასთან გაყოფა და ვისთან სურს მოთავსება. ყველა ძალისხმევა უნდა იქნას გამოყენებული, რათა არ მოხდეს არასრულწლოვანთა განთავსება მრავალადგილიან ოთახებში, რაც ქმნის არასრულწლოვანთა შორის ძალადობისა და ექსპლუატაციის მაღალ რისკს. ასეთი დაწესებულებები უნდა გაუქმდეს.[39]

საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტი გარკვეულ სტანდარტებს ადგენს მიუსჯელი პატიმრებისთვისაც. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ხშირად წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები განთავსებულნი არიან ძალიან პატარა საკნებში, რომელთა ფართი 3მ2-ზე ან 2მ2-ზე ნაკლებია, არც შესაბამისად არის აღჭურვილი და აქტივობებიც საკმაოდ შეზღუდულია. მინიმალურ სტანდარტზე დაბალი ფართის საკანში პატიმართა განთავსება ზრდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რისკს.[40] წამების პრევენციის კომიტეტი მიიჩნევს, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები უნდა თავსდებოდნენ არა ზრდასრულთა დაწესებულებაში, არამედ სპეციალურად მათი ასაკის ადამიანებისთვის არსებულ დაწესებულებებში, რომლებიც უზრუნველყოფს სპეციალურად არასრულწლოვანთა სპეციფიურ საჭიროებებზე მორგებულ რეჟიმს, სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლების ჩათვლით. წპკ აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოთა დიდ ნაწილში, წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები განთავსებულნი არიან ზრდასრულთა დაწესებულებებში.[41]

ადგილობრივი კანონმდებლობა

რაც შეხება საქართველოს კანონმდებლობას საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით, „პატიმრობის კოდექსის“ თანახმად, „ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ნორმა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები. ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. ბრალდებული/მსჯავრდებული აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათბობით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ან/და ხელოვნური ვენტილაციით. ორსულ ქალს, მეძუძურ დედას, ავადმყოფს, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ხანდაზმულს (ქალს – 60 წლიდან, მამაკაცს – 65 წლიდან) უნდა ჰქონდეთ სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.“[42] ხანგრძლივი პაემნისათვის სპეციალურად გამოყოფილი ოთახის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.[43] ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეულახავად. ბრალდებული/მსჯავრდებული, როგორც წესი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით, აგრეთვე საპარიკმახერო მომსახურებით არანაკლებ თვეში ერთხელ.[44] ბრალდებულს/მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და თეთრეული, რომელიც მას უნდა გადაეცეს სუფთა და დაუზიანებელი. პენიტენციურმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს თეთრეულის სისუფთავე.[45]

რაც შეეხება სამარტოო საკანში მოთავსების პირობებს, სამარტოო საკანი უნდა იყოს განათებული და ვენტილაციით უზრუნველყოფილი; ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სკამი და საწოლი. მას უფლება აქვს, მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს საკითხავი მასალა. დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სრული სენსორული იზოლაციის პირობებში.[46] პენიტენციური

38 არასრუწლოვნებთან დაკავშირებით წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის სტანდარტი, მ 103.
39 თავისუფლებააღკვეთილ არასრუწლოვნებთან დაკავშირებით წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის სტანდარტი (ამონარიდი 2015 წლის ანგარიშიდან), მ 104.
40 წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებთან დაკავშირებით წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის სტანდარტი, მ 56.
41 იქვე, მ 67.
42 საქართველოს „პატიმრობის კოდექსი“, მ.15.
43 იქვე, მ 17.
44 იქვე, მ 21.
45 იქვე, მ 22.
46 იქვე, მ 88.

დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ყველა პენიტენციური დაწესებულების საკანი აღჭურვილია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოყენებისთვის საჭირო ინვენტარით: საწოლი, მაგიდა, სკამი, ტუმბო/სათავსო, კარადა და ა.შ. სამარტოო საკანი უზრუნველყოფილია მაგიდით, დღის განმავლობაში მოსახერხებელი დასაჯდომით (სკამი), ხოლო ღამის საათებისთვის საწოლითა და სუფთა თეთრეულით, ლეიბით, ბალიშით, საბნით, გარდა ამისა, ყველა საჭირო ჰიგიენური საშუალებებით, რათა დაცული იყოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ასევე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მატერიალური სახის მოთხოვნები.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #106 ბრძანება განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებების ლიმიტებს:

- №2 დაწესებულება (ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №85) - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 1068 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- №3 დაწესებულება (ქ. ბათუმი, თევდორე მღვდლის ქ. №27) - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 92 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- №5 დაწესებულება (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი) - ქალთა სპეციალური დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 867 ბრალდებული/ მსჯავრდებული;
- №6 დაწესებულება (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი) - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 309 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- №7 დაწესებულება (ქ. თბილისი, გულუას ქ. № 31) - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 30 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- №8 დაწესებულება (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ) - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 3170 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- №9 დაწესებულება (ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის №11) - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 72 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- №11 დაწესებულება (ქ. თბილისი, გრ. ხანძთელის ქ. №3) - არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 106 მსჯავრდებული;
- №12 დაწესებულება (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №77) - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 335 მსჯავრდებული;
- №14 დაწესებულება (ქ.წყალტუბო, სოფელიგეგუთი,ვარციხის დასახლება)– ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი – 1362 მსჯავრდებული; (ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2016 წლის 16 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).
- №15 დაწესებულება (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი) - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 1388 მსჯავრდებული;
- №16 დაწესებულება (ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №60) – დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი – 856 მსჯავრდებული;
- №17 დაწესებულება (ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №64) - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 2000 მსჯავრდებული;
- №18 დაწესებულება (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ) - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 140 ბრალდებული/მსჯავრდებული;
- №19 დაწესებულება (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი) - ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 698 ბრალდებული/მსჯავრდებული.

სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პატიმართა განთავსების ლიმიტების გამოთვლა და დამტკიცება მოხდა დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და არსებული საკნების რაოდენობის გათვალისწინებით.

თუ შევადარებთ საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივ კანონმდებლობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა საკანონმდებლო დონეზეც არსებობს მცირე შეუსაბამობები. კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თითოეულ პატიმარზე გამოყოფილი მინიმალური ფართის სტანდარტი თანაბრად ვრცელდება როგორც ბრალდებულებზე, ასევე მსჯავრდებულებზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით კი ბრალდებულისთვის დადგენილი მინიმალური ფართი 1მ2-ით ნაკლებია მსჯავრდებულისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ფართზე. ეს ნორმა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, მით უფრო, რომ წპკ ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს კიდევ უფრო მაღალი სტანდარტის დაცვისკენ მოუწოდებს (რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი), განსაკუთრებით მომავალში ასაშენებელ დაწესებულებებთან დაკავშირებით. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ განსხვავებას არანაირი რაციონალური და ლოგიკური საფუძველი არ აქვს, რადგან ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ, სანამ სასამართლო მის მიმართ არ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს და გაუგებარია ადამიანი, რომელიც შესაძლოა გამართლდეს რატომ უნდა იყოს განთავსებული მსჯავრდებულზე ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წპკ მინიმალურ ფართზე საუბრისას სხვადასხვა სტანდარტებს ადგენს ერთადგილიან და მრავალადგილიან საკნებზე, ადგილობრივი კანონმდებლობა ამგვარ გრადაციას არ იცნობს და მინიმალური ფართის სტანდარტად ადგენს 4მ2-ს, რაც საერთაშორისო თვალსაზრისით არ შეესაბამება ერთადგილიანი საკნისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ნორმას (6მ2).

ადგილობრივი კანონმდებლობით საკნები უზრუნველყოფილი უნდა იქნას "ბუნებრივი ან/და ხელოვნური ვენტილაციით". უნდა აღინიშნოს, რომ მანდელას წესები, ასევე წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები, ციხის ევროპული წესებისგან განსხვავებით, ამ ორ ფაქტორს კუმულატიურად განიხილავს და არ მიიჩნევს, რომ ხელოვნური ან ბუნებრივი განათება შესაძლოა წარმოადგენდეს ერთმანეთის ალტერნატივას, შესაბამისად უმჯობესი იქნება, თუ „ან" ამოღებული იქნება აღნიშნული ფორმულირებიდან და სავალდებულო გახდება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური ვენტილაციის უზრუნველყოფა. სამარტოო საკნებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული კანონმდებლობით ისინი აღჭურვილი უნდა იყოს საწოლითა და სკამით, მაშინ, როდესაც წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები სავალდებულოდ მიიჩნევს საწოლის (შესაბამისი ქვეშაგებით), მაგიდისა და სკამის არსებობას სამარტოო საკანში.

წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის ანგარიში 2014 წელს საქართველოში განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით სხვა საკითხებთან ერთად ეხება ცალკეულ დაწესებულებებში არსებულ საყოფაცხოვრებო და ინფრასტრუქტურულ საკითხებსაც. ვიზიტის დროს კომიტეტის წარმომადგენლებმა განმეორებით მოინახულეს #3 (ბათუმი), #7 (თბილისი), #8 (თბილისი) და სამკურნალო დაწესებულებები, ასევე პირველი ვიზიტი განახორციელეს #9 (თბილისი, მატროსოვის ქ-ზე მდებარე) დაწესებულებაში. ანგარიშში კომიტეტი ულოცავს საქართველოს, რომ მან მოახერხა პატიმართა რიცხვის შემცირება, ასევე ხაზს უსვამს საქართველოს ხელისუფლების მცდელობას შეაკეთოს პენიტენცური დაწესებულებები და მოახდინოს მათი მოდერნიზება. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საყოფაცხოვრებო პირობები ყველა მონახულებულ დაწესებულებაში (გარდა #7 დაწესებულებისა) ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ბოლომდე არ არის გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართის 4მ² სტანდარტი. კომიტეტი მოუწოდებს თანამდებობის პირებს განაგრძონ მინიმალური საცხოვრებელი ფართის (სან. კვანძის გამოკლებით) სტანდარტის უზრუნველყოფისკენ ნაბიჯების გადადგმა. თუმცა ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ წპკ შეშფოთებულია საკნის გარეთ არსებული აქტივობების სიმწირით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ დღის უმეტეს მონაკვეთში პატიმრები ჩაკეტილნი არიან საკნებში იძულებითი მარტოობის პირობებში.

რაც შეეხება საკნებში განაწილებას, პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რა დროსაც ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: ბრალდებულის/მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი. დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი და სხვა გარემოებები. საკანში განაწილება ხდება საკნის გაზიარების რისკის პირველადი და პერიოდული შეფასების საფუძველზე, რა დროსაც იდენტიფიცირდება, არის თუ არა ბრალდებული/მსჯავრდებული ფიზიკური ზემოქმედების რისკის ქვეშ ან ხომ არ მომდინარეობს მისგან სხვა ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე თავდასხმის საფრთხე დახურულ სივრცეში განთავსებისას. აქედან გამომდინარე, დაწესებულება საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, განიხილავს პოტენციურ თანამესაკნეთა თავსებადობის საკითხს. ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის რისკის მომატების მიზეზების აღმოფხვრისთანავე, ხდება საკნის გაზიარების რისკის ხელახალი შეფასება ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესაბამის საკანში განთავსება. მართალია, საერთაშორისო სტანდარტები ყველგან მიუთითებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სურვილს/მოსაზრებას, როგორც სხვასთან განთავსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, დეპარტამენტის პასუხში თავად ბრალდებულების/მსჯავრდებულების სურვილი, როგორც ერთ საკანში განთავსებისას მხედველობაში მისაღები გარემოება, მითითებული არ არის.

რაც შეეხება შშმ პირებს, სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის წერილში მითითებულია, რომ შშმ პირთა სტატისტიკის წარმოება არ ხდება, თუმცა დაწესებულების სამედიცინო პერსონალი ახორციელებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფუნქციური შესაძლებლობის შეფასებას, რის შემდეგ მათ მიეწოდებათ შესაბამისი მომსახურეობა. რიგ დაწესებულებებში ფუნქციონირებს შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ:

#2 პენიტენციურ დაწესებულებაში მოქმედებს სპეციალური საჭიროებისთვის ადაპტირებული პალატა/საკანი, #5 დაწესებულებაში სპეციალური ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ფუნქციონირებს ლიფტი, დაწესებულების სამედიცინო ნაწილში მოწყობილია ერთი ადაპტირებული პალატა, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ადაპტირებული საკანი, რომელშიც მოწყობილია საშხაპე და სველი წერტილები, დაწესებულების ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია მისასვლელი პანდუსით, ბიბლიოთეკაში თაროების განლაგება იძლევა შეუფერხებელი გადაადგილებისა და ეფექტიანი მომსახურების საშუალებას. საჭიროების შემთხვევაში შშმ პირები უზრუნველყოფილნი არიან ეტლით, ყავარჯნითა და ხელჯოხით. 2018 წელს შშმ პირებისთვის იგეგმება საცხოვრებელი კორპუსებისა და მიმდებარე ეზოს ტერიტორიის მოწყობა სპეციალური პანდუსებით.

#6 დაწესებულებაში ფუნქციონირებს შშმ პირებისთვის ადაპტირებული პალატა/საკანი. #8 დაწესებულებაში მთავარ შესასვლელში და სამორიგეო ნაწილში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც გამიყენება შშმ პირთათვის. პირველი, მეორე და მესამე სარეჟიმო კორპუსების შესასვლელი და კორპუსების დამაკავშირებელი გვირაბები აღჭურვილია პანდუსებით. პირველ და მეორე კორპუსებს აქვთ ლიფტები. დაწესებულების სამედიცინო ნაწილი აღჭურვილია სუდნო-სკამებით, რომლითაც სარგებლობენ შშმ ბრალდებულები/მსჯავრდებულები. ბიბლიოთეკა არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, თუმცა დაწესებულების ტიპიდან გამომდინარე მათ წიგნები მიეწოდებათ საკნებში.

#14 დაწესებულებაში შშმ პირებს ჰყავთ მომვლელები და აქვთ ადაპტირებული გარემო, საჭიროების შემთხვევაში ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს ეძლევათ სპეციალური მოწყობილობების ქონის უფლება, დაწესებულება ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლეებისთვის.

#15 დაწესებულების ტერიტორიაზე დამონტაჟებულია პანდუსები, შშმ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ სპეციალურად აბაზანისა და საპირფარეშოსთვის განკუთვნილი ადაპტირებული სკამით.

#17 დაწესებულების სამედიცინო ნაწილი და მეოთხე საცხოვრებელი კორპუსის მთავარი შესასვლელი ადაპტირებულია შშმ ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის. აღნიშნული კორპუსები აღჭურვილია პანდუსებით, მეოთხე საცხოვრებელი კორპუსის ბიბლიოთეკა შშმ ბრალდებულთათვის და მსჯავრდებულთათვის.

#18 დაწესებულება აღჭურვილია პანდუსებით, ასევე დამონტაჟებულია სპეციალური, ადაპტირებული საპირფარეშო და საშხაპე.

#19 დაწესებულება ნაწილობრივ ადაპტირებულია, ძირითად საცხოვრებელ კორპუსში ფუნქციონირებს ლიფტი, რისი საშუალებითაც შშმ პირს შეუძლია გადაადგილდეს კორპუსის სართულებზე და სასეირნო ეზოებში.

სახალხო დამცველის ანგარიშების მეორადი ანალიზი

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; 2015 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ

პენიტენციურ დაწესებულებებში საყოფაცხოვრებო და ინფრასტრუქტურულ საკითხებს ყოველწლიურად დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში. ანგარიშებში ასახულია წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები. 2014 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ რიგ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაუმჯობესდა ფიზიკური გარემო და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებდა. პრობლემებს შორის აღსანიშნავია: დაწესებულებების ძირითად საცხოვრებელ, საკარანტინო და სამარტოო საკნებში სათანადო ხელოვნური ვენტილაციის უზრუნველყოფა; არასაკმარისი ბუნებრივი განათება-ვენტილაცია; დახურულ დაწესებულებებში პატიმართა სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა და ვარჯიშის შეუძლებლობა; დაწესებულებების სასეირნო ეზოებში საჭირო ინვენტარისა და პირობების არარსებობა; ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის არარსებობა. ხაზი გაესვა, რომ საჭირო იყო პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის გაძლიერება. მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, რომ ხანმოკლე პაემანი განხორციელებულიყო მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, ხანმოკლე პაემანი კვლავ მინის გამყოფ ბარიერს მიღმა მიმდინარეობდა.

სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის საჭიროებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები. ომბუდსმენის ანგარიშში აღნიშნულია, რომ #6 დაწესებულების საცხოვრებელი საკნების დათვალიერების დროს გაირკვა, რომ პატიმრები მოთავსებულნი იყვნენ ნესტიან საკნებში, საკნებში იყო თითო ფანჯარა, რომელშიც ჩამონტაჟებული იყო გისოსების სამი რიგი. ამასთან, იმის გამო, რომ ფანჯრების წინ, ეზოში ამოშენებული იყო კედელი, საკანში არ იყო უზრუნველყოფილი საკმარისი ბუნებრივი განათება. ბრალდებულები აცხადებდნენ, რომ ფანჯრები მუდმივად გამოღებული ჰქონდათ, ვინაიდან დახურვის შემთხვევაში უჭირდათ ფანჯრის გაღება მასზე სახელურის არარსებობის გამო. საკანში არ იყო საკმარისი ვენტილაცია. შესაბამისად, ნესტიანი კედლების პირობებში, ჩართული გათბობის სისტემის მიუხედავად, საკნებში იყო დაბალი ტემპერატურა. საკნის საპირფარეშოს კარი შესასვლელს მხოლოდ ნახევრად ფარავდა და საკნისგან სრულად იზოლირებული არ იყო. საპირფარეშოში ასევე არ იყო დამონტაჟებული ჩამრეცხი ავზი. საკანში ვენტილაცია ჩართული არ იყო. ამავე ანგარიშის მიხედვით, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა სასჯელაღსრულების N# 3 დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის დროს, არასათანადო მოპყრობად შეაფასა დაწესებულების სამარტოო საკნებში მოთავსებულ პატიმართა მდგომარეობა. შემოწმების დროს სამარტოო საკნებში შეუძლებელი იყო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, იდგა აუტანელი სუნი, პატიმრებს არ ჰქონდათ ლეიბი და თეთრეული.

2015 წლის ომბუდსმენის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულებების უმრავლესობაში ყველა მსჯავრდებული არ არის უზრუნველყოფილი საქართველოს პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული 4 კვადრატული მეტრის ფართით. პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ პრობლემებს შორის დაფიქსირდა სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის, სანიტარულ ჰიგიენური პირობებისა და სანიტარულ კვანძებში პრივატულობის უზრუნველყოფის კუთხით არსებული პრობლემები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ დახურული ტიპის დაწესებულებების სასეირნო ეზოებში პატიმრებს არ აქვთ სათანადო ფიზიკური დატვირთვისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. ომბუდსმენი დადებითად აფასებს ხანგრძლივი პაემანის ინფრასტრუქტურის მოწყობას N5 დაწესებულებაში, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ კუთხით ვითარება არ შეცვლილა N7, N8 და N9 პენიტენციურ დაწესებულებებში. ქვემოთ დეტალურად არის მოცემული ცალკეულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა 2014-2015 წლებში.

სასჯელაღსრულების №8 დაწესებულება

2014 წლის ანგარიშში ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების N8 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი, უმრავლეს შემთხვევაში, არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს. დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არასაკმარისად ფუნქციონირებს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. დაწესებულებას არ გააჩნია ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურა. დაწესებულების სასეირნო ეზოები განთავსებულია კორპუსების ბოლო სართულზე და საკანს წააგავს. სასეირნო ეზოებში არ არის შესაბამისი ინვენტარი. პატიმრებს არ აქვთ სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობა. საშხაპეები შესაკეთებელია. გასახდელ ოთახებში არ ფუნქციონირებს ონკანი და ხელსაბანი ნიჟარა. საშხაპეებში არ არის დამონტაჟებული საპნისა და სხვა ჰიგიენური ნივთების დასადები თაროები. გასახდელი ოთახების უმეტეს ნაწილში არ არის სკამი.[47]

2015 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ კვლავ არსებობს მინიმალური საცხოვრებელი ფართის პრობლემა. უცვლელია ხელოვნური ვენტილაციისა და ნესტის პრობლემებიც. დაწესებულებას არ გააჩნია ხანგრძლივი პაემნის მოსაწყობად საჭირო ინფრასტრუქტურა. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა საკნებში არადამაკმაყოფილებელია. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ვიზიტის დროს მოსაცდელ საკნებში იდგა სპეციფიური სუნი და შეინიშნებოდა დიდი რაოდენობით ტარაკნები. პატიმრებს არ ჰქონდათ თეთრეული და მათი განმარტებით ვერ სარგებლობდნენ დაბანის უფლებით. დეესკალაციის ოთახებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ იყო დამაკმაყოფილებელი. აღნიშნულ ოთახებში მოწყობილი იყო მხოლოდ ხელოვნური სავენტილაციო სისტემა, ოთახებში ფანჯრები არ იღებოდა. ვიზიტის დროს დეესკალაციის ოთახებში მყოფ პირებს არ ჰქონდათ პირადი ჰიგიენის ნივთები. კვლავ აქტუალური იყო სასეირნო ეზოების პრობლემა.[48]

არასრულწლოვანთა № 11 დაწესებულება

2014 წლის სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, სასჯელაღსრულების N11 დაწესებულებაში საცხოვრებელი საკნები ნათდება როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური გზით. საკნები ნიავდება ბუნებრივი გზით. ყველა საცხოვრებელ საკანს აქვს ინდივიდუალური საპირფარეშო და შხაპი. არასრულწლოვანთა

47 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 64.

48 საქართველოს სახამხო დამცველის ანგარიში (2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 62-63.

საცხოვრებელ კორპუსში ასევე მოწყობილია საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახი. საშხაპე ოთახში საკმარისია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, თუმცა არ ფუნქციონირებს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. საშხაპე ოთახი საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. დაწესებულებაში არსებული ხანმოკლე პაემნის ერთი ოთახი ამავდროულად ასრულებს საგამოძიებო ოთახის ფუნქციასაც. ოთახში დგას რამდენიმე მაგიდა და შესაძლებელია რამდენიმე პატიმარი ერთდროულად ხვდებოდეს მნახველს, რაც არღვევს საუბრის კონფიდენციალურობას. არასრულწლოვანს აქვს საშუალება ბარიერის გარეშე, პირისპირ შეხვდეს ოჯახის წევრებს. ოთახი თბება ცენტრალური გათბობის სისტემის მეშვეობით. დაწესებულებაში ასევე გამოყოფილია ხანგრძლივი პაემნის ორი ოთახი, რომელიც იზოლირებულია სხვა შენობებისგან. აქედან ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი კეთილმოწყობილი ოთახი, ხოლო მეორე საჭიროებს გარკვეულ სარემონტო სამუშაოებს. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს ვიდეო პაემნის ერთი ოთახი, რომელიც გარემონტებულია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.[49]

2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საცხოვრებელ კორპუსში არსებულ ყველა საკანში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. სრულად შეიცვალა საკნებში არსებული სველი წერტილები. 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს რეკომენდაციით მიმართა, უზრუნველეყო დაწესებულებაში როგორც საცხოვრებელ, ისე საგამოძიებო და საშხაპე ოთახებში სათანადო ხელოვნური ვენტილაცია, საცხოვრებელ საკნებში აღმოფხვრილიყო სინესტის გამომწვევი მიზეზები და სათანადოდ გარემონტებულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსში არსებულ ყველა საკანში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. სრულად შეიცვალა საკნებში არსებული სველი წერტილები. რაც შეეხება დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემანისთვის განკუთვნილ ოთახში შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, აღნიშნული რეკომენდაცია 2015 წლისთვის შეუსრულებელი დარჩა.[50]

ქალთა № 5 დაწესებულება

2014 წლის ომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, სასჯელაღსრულების #N5 დაწესებულებაში არსებულ საკნებში ფანჯრები არასაკმარისად იღება, სუსტად მუშაობს ხელოვნური სავენტილაციო სისტემაც. აღნიშნული პრობლემის გამო, ზაფხულის პერიოდში საცხოვრებელ საკნებში ცხელა და დაწესებულების ადმინისტრაცია პრობლემის დროებით მოსაგვარებლად, საცხოვრებელ საკნებში ფანჯრების დემონტაჟს ახდენს. ზამთრის სეზონის დადგომისას ფანჯრები კვლავ ძველ ადგილას მონტაჟდება. დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსებს აქვთ საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახები. ცალკეული კორპუსების აბაზანებში მოხმარებული წყალი არ გადის საკანალიზაციო სისტემაში და გუბდება სააბაზანო ოთახებში. არასაკმარისად ფუნქციონირებს ვენტილაციაც, კედლები და იატაკი მოძველებულია და საჭიროებს შეკეთებას.[51]

2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულებაში აშენდა კორპუსი მსჯავრდებულთა გრძელვადიანი პაემნებისთვის, განახლდა გათბობის სისტემა. დედათა და ბავშვთა განყოფილებაში გარემონტდა საცხოვრებელი ოთახები, კორპუსის დერეფანში შეიცვალა იატაკის საფარი, განახლდა საჭირო ინვენტარი; შშმ პირებისათვის, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, მოეწყო საცხოვრებელი ოთახები სათანადო აღჭურვილობით; წლის განმავლობაში დაწესებულებაში ფუნქციონირებდა პაემნისთვის განკუთვნილი 16 კაბინა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მინის ბარიერის გაუქმება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა პრობლემაა პაემნების ოთახების ფართი, რაც, თავის მხრივ, კონფიდენციალური საუბრის ხელის შემშლელ გარემოებას ქმნის, რადგან პაემანზე მისულ პირებს პატიმრებთან შეხვედრა ფაქტობრივად კაბინებს გასწვრივ არსებულ დერეფანში უწევთ, ვინაიდან გამყოფი შუშის აქეთ დარჩენილი, გადატიხრული კაბინის ზომა მხოლოდ ერთი კვადრატული მეტრია. კვლავ აქტუალური იყო საერთო სარგებლობის საშხაპეებისა და საკანალიზაციო სისტემის პრობლემა. ცუდად ფუნქციონირებდა ვენტილაციაც, კედლები და იატაკი კვლავ მოძველებული იყო და საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს. ომბუდსმენის განმარტებით, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ წლის განმავლობაში განახლდა მითითებულ განყოფილებაში არსებული ინვენტარი და შეიქმნა ხანგრძლივი პაემანისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს – დაწესებულების სათანადო ვენტილაციის, საგამოძიებო ოთახებში ცენტრალური სავენტილაციო სისტემის ფუნქციონირების, პაემანზე მყოფი პირებისთვის კონფიდენციალური გარემოთი და სათანადო ფართით უზრუნველყოფისა და საშხაპეებში საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემების შეკეთების საკითხებს – აღნიშნული რეკომენდაციები 2015 წლისთვის არ შესრულებულა.[52]

49 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 66.

50 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2015 წელს საქართველოში ადამინის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 64

51 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2014 წელს საქართველოში ადამინის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 64.

52 საქართველოს სახალხო დამცველის ნაგარიში (2015 წელს საქართველოში ადამინის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 55-56;

№12 დაწესებულება

სასჯელაღსრულების #N12 დაწესებულებაში 2014 წლისთვის ფუნქციონირებდა ცენტრალური გათბობის სისტემა. მოეწყო ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა. აშენდა ახალი საცხოვრებელი კორპუსი. თუმცა დაწესებულებაში არ არსებობდა ცენტრალური სავენტილაციო სისტემა.[53]

2015 წელს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა მსჯავრდებულთა კომპიუტერული სწავლებისთვის განკუთვნილ ოთახს; მე-4 და მე-5 საცხოვრებელ კორპუსებს და მასში არსებულ სველ წერტილებს; რემონტი ჩატარდა დაწესებულების სამედიცინო ბლოკში. დაწესებულებაში ზოგიერთ საცხოვრებელ საკანში არსებული ფართი არ შეესაბამებოდა საქართველოს პატიმრობის კოდექსით დადგენილ მოთხოვნას. პატიმართა ძირითადი საცხოვრებელი კორპუსი მოძველებული იყო და საჭიროებდა კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმართა საცხოვრებელი შენობა, როგორც ინფრასტრუქტურულ პრობლემების, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის კუთხით. ამორტიზებული ინფრასტრუქტურის გამო, შეუძლებელი იყო საცხოვრებელ საკნებში სათანადო სისუფთავის შენარჩუნება. სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმართა საცხოვრებელ საკნებში იყო მცირე ზომის ფანჯრები, რის გამოც საკნებში არ იყო სათანადო განათება და არ ნიავდებოდა. ძირითად საცხოვრებელ კორპუსში არსებულ ყველა საკანში მოსაწესრიგებელი იყო ელექტროგაყვანილობის ქსელები, ვინაიდან არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები. საკნებში, სადაც არ იყო ვენტილატორები, გართულებული იყო საკნის ხელოვნური ვენტილაცია. დაწესებულების ძველ საცხოვრებელ კორპუსსა და სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმართა საცხოვრებელ კორპუსში ცენტრალური სავენტილაციო სისტემა საერთოდ არ ფუნქციონირებდა. დაწესებულების ძველ საცხოვრებელ კორპუსებში არსებულ საკნებში არ იყო ინდივიდუალური სანიტარული კვანძები, პატიმრები სარგებლობდნენ საერთო საპირფარეშოებით. ანგარიშში მითითებულია, რომ რეკომენდაცია საცხოვრებელ, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში, საგამოძიებო და საშხაპე ოთახებში ხელოვნური ვენტილაციის უზრუნველყოფის შესახებ არ შესრულებულა.[54]

სასჯელაღსრულების №9 დაწესებულება

2014 წელს სასჯელაღსრულების N#9 დაწესებულებაში საკნები ნათდებოდა როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური გზით. საცხოვრებელი საკნები ნიავდებოდა ფანჯრების მეშვეობით, თუმცა საჭირო იყო ხელოვნური სავენტილაციო სისტემის დამონტაჟება. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ცენტრალური გათბობის სისტემა. დაწესებულებაში არ არსებობდა ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა.[55]

2015 წლის ომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, # 9 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი არ შეესაბამებოდა საქართველოს პატიმრობის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. კვლავ არსებობდა სავენტილაციე სისტემის დამონტაჟების საჭიროება. დაწესებულებაში არ ფუნქციონირებდა სამრეცხაო ბლოკი, რის გამოც პატიმრები იძულებულნი იყვნენ საკანში გაერეცხათ და გაეშროთ ტანსაცმელი, ან ოჯახის წევრებისთვის გაეტანებინათ გასარეცხად. დაწესებულებას არ გააჩნდა ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, რის გამოც პატიმრებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ესარგებლათ ხანგრძლივი პაემანით. 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს რეკომენდაციით მიმართა, შექმნილიყო ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა და როგორც საცხოვრებელ, ასევე საგამოძიებო ოთახებსა და საშხაპე ოთახებში უზრუნველეყოთ სათანადო ხელოვნური ვენტილაცია, თუმცა 2015 წლისთვის აღნიშნული რეკომენდაციები არ შესრულებულა.[56]

№3 დაწესებულება

სასჯელაღსრულების N#3 დაწესებულებაში 2014 წლისთვის 4 და 6 საწოლიანი საკნები სრულად არ იყო შევსებული, შესაბამისად თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იყო 4 კვადრატული მეტრით. საკნებში ბუნებრივი განათება და ვენტილაცია არ იყო დამაკმაყოფილებელი. საკნები უზრუნველყოფილი იყო ცენტრალური გათბობით. დაწესებულებაში არსებობდა წყალმომარაგების პრობლემები. საცხოვრებელ საკნებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. ანგარიშის მიხედვით,

53 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2014 წელს საქართველოში ადამინის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 66

54 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (2015 წელს საქართველოში ადამინის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 65-66

55 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2014 წელს საქართველოში ადამინის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 66

56 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ), გვ 62-63.

დაწესებულებაში არ იყო მოწყობილი სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის შესაბამისი პირობები.[57]

2015 წლის ომბუდსმენის ვიზიტისთვის 6-ადგილიანი საკნების უმეტესობა (11 საკანი) სრულად იყო დატვირთული, რის გამოც მინიმალური ფართი არ შეესაბამებოდა პატიმრობის კოდექსით დადგენილ ნორმებს. საკნებში კვლავაც არ იყო სათანადო ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. საკნების ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა ხელოვნური სავენტილაციო სისტემა გამართულად არ მუშაობდა. კვლავ აქტუალური იყო წყალმომარაგების პრობლემები.

2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, უზრუნველეყოთ საცხოვრებელი საკნებიდან ზედმეტი საწოლების გატანა, საკნების სათანადო ვენტილაცია, დაწესებულების უწყვეტი წყალმომარაგება, ასევე სასეირნო ეზოს მოსაწყობად სათანადო ფართის გამოყოფით, ეზოს იმგვარად მოწყობა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ფიზიკური ვარჯიში. საკნების განიავების პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებაში არსებულ საცხოვრებელ საკნებში 2015 წელს დამონტაჟდა კონდიციონერები, თუმცა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო ცენტრალური სავენტილაციო (გამწოვი) სისტემის ფუნქციონირება. ასევე არ შესრულებულა რეკომენდაცია დაწესებულების უწყვეტი წყალმომარაგების შესახებ.[58]

№6 დაწესებულება

2014 წლის ანგარიშის მიხედვით, სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებაში არ ფუნქციონირებდა ხელოვნური სავენტილაციო სისტემა, ხოლო საკნებში არსებული ფანჯრები ვერ უზრუნველყოფდა ბუნებრივ ვენტილაციას.[59]

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულების პირველ და მეორე სარეჟიმო კორპუსებში ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, 11 სამარტოო საკანსა და 15 უსაფრთხო ოთახში დამონტაჟდა ხელოვნური ვენტილაციის სისტემები, სასადილო-სამზარეულოს შენობა კაპიტალურად გარემონტდა და სასეირნო ეზოები გადაიხურა მეტალის ბადით. საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი სრულად შეესაბამებოდა საქართველოს პატიმრობის კოდექსით დადგენილ მოთხოვნას. დაწესებულებაში, ახალგარემონტებულ საკნებში არსებულ საპირფარეშოებს ჰქონდა ნახევრად იზოლირებული კარი, რის გამოც 2 და მეტ ადგილიან საკნებში რთული იყო საპირფარეშოთი სარგებლობის დროს განმარტოება. საკნებში არსებული საპირფარეშოების წინ დამონტაჟებული ვიდეოთვალი პირდაპირ უყურებდა პატიმართა მიერ ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესს. საცხოვრებელ საკნებში არსებულ საპირფარეშოები არ იყო უზრუნველყოფილი ხელოვნური ვენტილაცია, ხოლო საკნების ვენტილაცია საკმარისად არ ხორციელდებოდა. ომბუდსმენის განმარტებით, პატიმართა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ საგამოძიებო ოთახებში არსებული სათვალთვალო კამერების საშუალებით მიმდინარეობდა მათი საუბრის აუდიო-ვიდეო ჩაწერა, რაც უარყოფითად მოქმედებდა პატიმართა გახსნილობაზე და საუბრის დროს გარკვეულწილად ზღუდავდა მათ.

2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, #N6 დაწესებულებაში როგორც საცხოვრებელ, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში, საგამოძიებო ოთახებსა და საშხაპე ოთახებში უზრუნველყოფილიყო სათანადო ხელოვნური ვენტილაცია, შესრულდა მხოლოდ რეკომენდაცია სამარტოო საკნების შესახებ, ხოლო საკარანტინო, საგამოძიებო და საშხაპე ოთახებში კვლავ იდგა აღნიშნული პრობლემა.[60]

№14 დაწესებულება

2014 წლის ომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, #14 დაწესებულების N6 კორპუსის საკნებში მყოფი პატიმრების უმრავლესობა არ იყო უზრუნველყოფილი 4 კვადრატული მეტრის ფართით. საკნები უზრუნველყოფილი იყო საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. ფუნქციონირებდა გათბობის ცენტრალური სისტემა. საკნები არასაკმარისად ნიავდებოდა. მსჯავრდებულები შეუზღუდავად სარგებლობდნენ საერთო საშხაპით. კანალიზაციის სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა მოხმარებული წყლის გამტარობას, რის გამოც საშხაპეში წყალი გუბდებოდა. საშხაპეში არ ფუნქციონირებდა ვენტილაცია.

57 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ), გვ 66-67.

58 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ), გვ 55-56.

59 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, გვ 66-67

60 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2015) წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, გვ 58-59;

საკნები ცენტრალური სისტემით თბებოდა. სამეურნეო სამსახურში მყოფ მსჯავრდებულთა პირველი სართულის საცხოვრებელი საკნები გადატვირთული იყო და საჭიროებდა რემონტს.[61]

2015 წლის ომბუდსმენის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულებაში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები: საცხოვრებელ კორპუსში აბანოში შეყვანილ იქნა ცხელი წყლის ახალი გაყვანილობა, გამოიცვალა შხაპები, ონკანები, მილები, საერთო საშხაპეები გადაკეთდა კაბინებად, დასრულდა დაწესებულების სამზარეულოს მშენებლობა, საკნებში დამონტაჟდა გამწოვები. კვლავაც აქტუალური იყო სამედიცინო ნაწილში სამანიპულაციო ოთახის სანიტარული მდგომარეობისა და საკარანტინო საკნების ბუნებრივი განათების პრობლემა.

2014 წელს საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართა რეკომენდაციებით: ძირითად საცხოვრებელ საკნებში, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში უზრუნველეყოთ სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, რაც მხოლოდ საცხოვრებელი საკნების შემთხვევაში შესრულდა. 2015 წლისთვის კვლავ პრობლემად რჩებოდა სამარტოო და საკარანტინო საკნებში არასაკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია. შესრულდა სასეირნო ეზოების მოწყობის შესახებ გაცემული რეკომენდაცია – 2015 წლის განმავლობაში N6 კორპუსის ეზოში მოეწყო ფრენბურთის მოედანი, ეზო აღიჭურვა სავარჯიშო ინვენტარითა და ჩოგბურთის მაგიდით, ხოლო მეორე და მესამე საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში დამონტაჟდა ძელსკამები. ასევე შესრულდა დაწესებულებაში საშხაპეების პრივატულობის უზრუნველსაყოფად საშხაპეების გადატიხვრის მოთხოვნაც. არ შესრულებულა დაწესებულების სამედიცინო ნაწილში არსებული სამანიპულაციო ოთახის მიმღები ოთახისგან განცალკევების რეკომენდაცია.

№17 დაწესებულება

2014 წლის ომბუდსმენის ანგარიშის თანახმად, სასჯელაღსრულების N#17 დაწესებულებაში საცხოვრებელი საკნების ფართი უმრავლეს შემთხვევაში არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საცხოვრებელი საკნები იყო სარემონტო. საკნები უზრუნველყოფილი იყო საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათებითა და გათბობის ცენტრალური სისტემით. საცხოვრებელ კორპუსში არსებული საპირფარეშოები პატარა ზომის იყო, იზოლირებული, ჭერი და კედლები ნესტიანი, არ არსებობდა წყლის რეზერვუარი. ნახევრად ღია ტიპის საცხოვრებელი კორპუსების სასეირნო ეზოებში მოთავსებული იყო მაგიდები, სკამები, სპორტული მოედნები და ვარჯიშისთვის საჭირო ინვენტარი. სასეირნო ეზოებში ფუნქციონირებდა საერთო ტიპის საპირფარეშო და ხელსაბანი. სპორტული და დასასვენებელი ინვენტარი არ იყო დახურული ტიპის სარეჟიმო კორპუსის სასეირნო ეზოში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მონიტორინგის დროს საშხაპე ოთახებში არ იყო გათბობა, არ ფუნქციონირებდა ცენტრალური სავენტილაციო სისტემა. გაუმართავი იყო წყლის გამწოვი სისტემა, რაც იწვევდა წყლის დაგუბებას და სინესტეს. დაწესებულების დახურული ტიპის სარეჟიმო კორპუსის საშხაპეები არ იყო იზოლირებული და უზრუნველყოფილი ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაციით.[62]

2015 წლის ანგარიშში კვლავ საუბარია მინიმალური საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის საკითხზე. აღნიშნულია, რომ პატიმართა საცხოვრებელი კორპუსები მოძველებულია და საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საკნებში არსებული სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკნების სათანადო განიავებას. მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი 10 ოთახიდან 6 ოთახში არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო, ხოლო დანარჩენი 4 ოთახი საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს. დაწესებულების სამზარეულოში არ იყო ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა. ჭურჭელი ირეცხებოდა სამზარეულოს იატაკზე არსებულ რკინის ყუთზე.

მიუხედავად რეკომენდაციებისა, რომ მომხდარიყო დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, პატიმართა საცხოვრებელ საკნებში, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის უზრუნველყოფა, დაწესებულებაში აღნიშნული პრობლემები არც 2015 წლისთვის ყოფილა აღმოფხვრილი.

№15 დაწესებულება

2014 წლის ომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, ძირითად საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი არ შეესაბამებოდა საქართველოს პატიმრობის კოდექსის მოთხოვნებს. საკნებში არსებული ბუნებრივი განათება არ იყო საკმარისი, ამიტომ მუდმივად ჩართული იყო ხელოვნური განათება. საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ცენტრალური გათბობის სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა საცხოვრებელი საკნების გათბობას. საკარანტინო და სამარტოო საკნები განლაგებული იყო დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში. ძირითადი საცხოვრებელი კორპუსის სასეირნო ეზოში მოწყობილი იყო სპორტული მოედანი, ასევე სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფილი გადახურული (200 მ2) ადგილი.

61 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 68.

62 იქვე, გვ. 67-68.

დახურული ტიპის კორპუსის სასეირნო ეზოები არ იყო გადახურული, მოუწესრიგებელი იყო სანიაღვრე სისტემა. საშხაპე ოთახებში არ იყო ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია. არადამაკმაყოფილებელი იყო საშხაპეების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაც. დახურული ტიპის კორპუსის საშხაპეები არ იყო იზოლირებული.[63]

2015 წლისთვის მინიმალური საცხოვრებელი ფართი კვლავ არ შეესაბამებოდა საკანონმდებლო მოთხოვნებს. საკნებში ხელოვნური სავენტილაციო სისტემა არ ფუნქციონირებდა, დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსში არსებულ დერეფნებსა და კიბეებზე არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 16 სამარტოო საკანი, რომლებშიც არ იყო იზოლირებული სანიტარული კვანძი. პატიმრებს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უწევდათ საკანში არსებულ სანიტარულ კვანძში ყოველგვარი საფარის გარეშე. ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ადგილი ხვდებოდა ვიდეოთვალის მეთვალყურეობის არეში.

2014 წელს საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების თანახმად, უნდა მომხდარიყო N15 დაწესებულებაში მყოფი თითოეული პატიმრის 4 კვადრატული მეტრის ფართით უზრუნველყოფა, ძირითად საცხოვრებელ საკნებში, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, საშხაპეებში საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემების მოწესრიგება, თუმცა, მოცემული რეკომენდაციები 2015 წლისთვის არ შესრულებულა

№2 დაწესებულება

2014 წლის ომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, საცხოვრებელ საკნებში ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი სივრცე 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია. საკნებში ბუნებრივი და ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელია. ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. გაუმართავია სავენტილაციო სისტემა. საპირფარეშოში მუშაობს გამწოვი მოწყობილობა. საკანში არის ცალკე გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს ქალი პატიმრების პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა.[64]

ომბუდსმენის 2015 წლის ანგარიშის თანახმად, კვლავ არსებობს მინიმალური საცხოვრებელი ფართისა და ქალი პატიმრების პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის პრობლემა. N2 დაწესებულების არასრულწლოვან პატიმართა ყველა საკანი აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით. საკარანტინო ნაწილში საკნებში არსებული ბუნებრივი და ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელი იყო, სავენტილაციო სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა საკნების ვენტილაციას. საკანში იყო ცენტრალური გათბობა და იზოლირებული სანიტარულ-ჰიგიენური კვანძი. პატიმართა განმარტებით, დაწესებულებაში შესვლის დროს მათ უზრუნველყოფდნენ თეთრეულით, შემდგომ აღარ ხდებოდა თეთრეულის შეცვლა, ვინაიდან ადმინისტრაციის წამომადგენლები განუმარტავენ, რომ დაწესებულებაში არ იყო თეთრეულის საკმარისი მარაგი. საკნებში დამონტაჟებული იყო ცენტრალური გათბობისა და სავენტილაციო სისტემები. განათება დამაკმაყოფილებელი იყო, საპირფარეშო ნაწილობრივ იზოლირებული. N#2 დაწესებულებაში სასეირნო ეზოები ზემოდან ნაწილობრივ გადახურული იყო, შიგნით იდგა ხის გრძელი სკამები და ურნები, არასრულწლოვან პატიმრებს შეეძლოთ ყოველდღიურად ევარჯიშათ მათთვის სპეციალურად მოწყობილ სავარჯიშო ოთახში, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით.[65]

№16 დაწესებულება

2015 წლის ომბუდსმენის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ახლადგახსნილ #16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, პატიმრები უზრუნველყოფილნი იყვნენ მინიმალური საცხოვრებელი ფართით. საცხოვრებელ საკნებში მოწყობილი იყო, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური სავენტილაციო სისტემა, რაც უზრუნველყოფდა საკნების სათანადო განიავებას. დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 3 სასეირნო ეზო. მსჯავრდებულებს ასევე ჰქონდათ დაწესებულების სპორტული დარბაზით (ფეხბურთის, კალათბურთის) და ორი ღია ფეხბურთისა და ფრენბურთისათვის განკუთვნილი სტადიონით სარგებლობის შესაძლებლობა.[66]

2016 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ

ომბუდსმენის 2016 წლის ანგარიშში დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა განხილულია ცალკეული პრობლემების გარშემო. ანგარიშში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველი მიესალმება პენიტენციურ

63 იქვე, გვ. 69-70.
64 იქვე, გვ 70.
65 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2015 წელს საქართველოში ადამინის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 55-56.
66 იქვე, გვ 68.

დაწესებულებებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში კვლავ გამოწვევად რჩება ის გარემოება, რომ არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, განათება და გათბობა, ასევე არ არის დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები. პრობლემურია პატიმრის სეზონის შესაფერისი ტანსაცმლითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგება, სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით სარგებლობა და სასეირნო ეზოების მოწყობა.

2016 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა მსჯავრდებულების 4 მ2 საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, პატიმართა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ასევე ხანმოკლე პაემნის მინით გადატიხრულ ოთახებში ჩატარება, რა დროსაც პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. ანგარიშში დადებითად შეფასდა, რომ 2016 წელს N8, N9, N18 და N19 დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ ხანგრძლივი პაემნით იმ დაწესებულებებში, სადაც მოწყობილი იყო სათანადო ინფრასტრუქტურა, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩებოდა დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებსა და სამკურნალო დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა N2, N3, N7, N8,N12, N15 და N17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმრის 4 მ2 ფართით უზრუნველსაყოფად. ანგარიშის თანახმად, მოცემული რეკომენდაცია მხოლოდ N3 დაწესებულების შემთხვევაში შესრულდა. რაც შეეხება N2, N7, N8, N12, N15 და N17 დაწესებულებებს, აქ პრობლემა არ მოგვარებულა. N14 და N17 დაწესებულებებში პატიმრების გარკვეული ნაწილი ცხოვრობდა ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებელში. N14 დაწესებულებაში სამი ორსართულიანი კორპუსი ფუნქციონირებდა, სადაც პატიმრებს 26, 59 და 70 ადგილიან საერთო საცხოვრებელ საკნებში უწევდათ ცხოვრება. რაც შეეხება N17 დაწესებულებას, აქ 4, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, 24, 26, 30, 32 და 34 ადგილიანი საკნებია. N17 დაწესებულებაში 20 და მეტ ადგილიან საკნებში თითო პატიმრისთვის განსაზღვრული ფართი დაახლოებით 2.5 მ2-მდე მერყეობდა.ბარაკის ტიპის საცხოვრებლებში არ იყო უზრუნველყოფილი პრივატული გარემო, მწეველი და არამწეველი პატიმრები ერთ სივრცეში ცხოვრობდნენ.

ფიზიკური გარემო

2016 წლის ანგარიშის თანახმად, N3 დაწესებულებაში საკნებს საკმაოდ მაღლა მოთავსებული მცირე ზომის ფანჯრები აქვს; კედელი კი დაახლოებით ნახევარი მეტრი სისქისაა. შესაბამისად, მზის სხივი საკანში სათანადოდ ვერ აღწევს. საცხოვრებელ საკნებში არ არის საკმარისი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. დეესკალაციის და სამარტოო საკნებში არსებული ფანჯრები არ იღება. შესაბამისად, აღნიშნულ საკნებში მყოფი პატიმრებისთვის ბუნებრივი ვენტილაცია ხელმისაწვდომი არ არის.

N7 დაწესებულებაში არსებულ საკნებს აქვს რამდენიმე ფენა გისოსით დაფარული მცირე ზომის ფანჯრები (75X43 სმ), რის გამოც ჰაერი და მზის სხივი ფანჯრიდან საკნებში ფაქტობრივად ვერ აღწევს. დაწესებულების სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საცხოვრებელი საკნების ხელოვნურ განიავებას. საკნებში არასაკმარისი ბუნებრივი განათებაა.

N6 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებულ საპირფარეშოებში ხელოვნური ვენტილაცია არა არის დამონტაჟებული, ხოლო საკნებში არსებული ვენტილაცია არასაკმარისია. საკნებში უჰაერობა და ცუდი სუნია. მეორე საცხოვრებელი კორპუსის საერთო საშხაპეები მხოლოდ ბუნებრივად, ფანჯრების საშუალებით ნიავდება. ხანმოკლე პაემნების კაბინებში არ არის ბუნებრივი ვენტილაცია.

N5 და N8 დაწესებულებების საცხოვრებელ და მოსაცდელ (საკარანტინე) საკნებში, საგამოძიებო ოთახებსა და N15 დაწესებულების ადვოკატებთან შეხვედრის ოთახებში არასაკმარისად ფუნქციონირებს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა, ანალოგიური პრობლემებია N2 დაწესებულების საცხოვრებელ, მოსაცდელ, სამარტოო საკნებსა და საშხაპეებში. N8 დაწესებულების სამარტოო საკნებში ხელოვნური ვენტილაცია საერთოდ არა არის დამონტაჟებული. N8 და N17 დაწესებულების ზოგიერთ საკნებში შეინიშნება სინესტე. N8 დაწესებულების მოსაცდელი საკნები ნაწილობრივ მიწის საფარს ქვეშაა მოქცეული, რის გამოც საკნებში განათება და ვენტილაცია არასაკმარისია; დეესკალაციის ოთახებში არ იღება ფანჯრები. შესაბამისად, ბუნებრივი ვენტილაცია პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. დაწესებულების საშხაპეებში როზეტებისა და შუქის ჩამრთველების შიგთავსები გამოცვლილია და აღნიშნული გაყვანილობები უსაფრთხოების წესების დარღვევითაა გაკეთებული. ხელოვნური განათება არადამაკმაყოფილებელია. საშხაპეებში არ არის სკამები და საკიდები პირადი ნივთების მოსათავსებლად.

N9 და N15 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში ხელოვნური სავენტილაციო სისტემა არ ფუნქციონირებს, N17 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული სავენტილაციო სისტემა ასევე ვერ უზრუნველყოფს საკნების სათანადო განიავებას. ამავე დაწესებულების დახურული ტიპის კორპუსის საკნებში არ არის ხელოვნური ვენტილაცია, ხოლო ბუნებრივი და ხელოვნური განათება არ არის საკმარისი.

N15 დაწესებულების ცენტრალური გათბობის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს საკნების სათანადო გათბობას. N2, N3, N5, N6, N8, N14 და N15 დაწესებულებების საცხოვრებელ საკნებში ბეტონის იატაკია, რაც შეიძლება ცუდად აისახოს პატიმართა ჯანმრთელობაზე.

N12 დაწესებულების ძირითად საცხოვრებელ კორპუსში არსებულ ყველა საკანში მოსაწესრიგებელია ელექტროგაყვანილობის ქსელები, ვინაიდან დაცული არ არის უსაფრთხოების ნორმები.

2015 წელს საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, N2, N3, N6, N8, N9, 12, N15 და N17 დაწესებულებებში არსებულ საცხოვრებელ საკნებში უზრუნველეყო სათანადო ვენტილაცია; N5 და N8 დაწესებულებების საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟებულიყო ცენტრალური სავენტილაციო სისტემა; N2, N5, N6, N12, N14, N15 და N17 დაწესებულებების სამარტოო, საკარანტინე, საგამოძიებო და საშხაპე ოთახებში უზრუნველეყო სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია; N9 და N15 დაწესებულებების საგამოძიებო და საშხაპე ოთახებში უზრუნველეყო სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია. მითითებული რეკომენდაციები არ შესრულებულა.[67] პენიტენციური დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,პენიტენციური დაწესებულებების საკნებში ჰაერის კუბური მეტრებით გაზომვა არ ხდება, თუმცა პენიტენციურ დაწესებულებებში არის როგორც ბუნებრივი განათების/ვენტილაციის, ასევე ხელოვნური განათების/ვენტილაციის საშუალებები, მათ შორის საკნები უზრუნველყოფილია სავენტილაციო ძრავებით, კედლის საჰაერო ვენტილაციით, ჰაერის გამწოვით, ზოგიერთი საკანი დამატებით უზრუნველყოფილია ელექტრო ვენტილატორებით, რაც უზრუნველყოფს საკნიდან და სველი წერტილიდან ჰაერის გადინებას. დეპარტამენტს გაეგზავნა კითხვა დაწესებულებების და დაწესებულებებში საკნების ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციით დეტალურად უზრუნველყოფის შესახებ, მათ შორის საკნების რაოდენობისა და მდგომარეობის მითითებით, თუმცა დეპარტამენტი მხოლოდ ასეთი ზოგადი პასუხით შემოიფარგლა.

სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა

ანგარიშში აღნიშნულია, რომ N2, N8, N15119, N17 დაწესებულებების როგორც საცხოვრებელ, ასევე სამარტოო და საკარანტინე საკნებსა და საშხაპეებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

N2 დაწესებულებაში საკნების უმრავლესობაში სინესტეა. ზოგიერთ საცხოვრებელ საკანში არსებულ ტუმბოებს აქვს კოროზია. პატიმრები იძულებულნი არიან ტანისამოსი,პირადი ნივთები და ჭურჭელი ასეთ პირობებში შეინახონ.

N2 და N8 დაწესებულებების ზოგიერთ საკანში მწერებია. N3 დაწესებულების სამარტოო, N5 (საპატიმრო განყოფილების), N7, N12, N14 (დახურული ტიპის კორპუსი) დაწესებულებების საცხოვრებელ საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

N12 დაწესებულების საცხოვრებელი საკნები მოძველებულია და საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. N15 დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსის დერეფნებსა და კიბეებზე არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. დერეფნებსა და კიბეებზე სიგარეტის კოლოფები,ნამწვავები და სხვა ნარჩენებია მიმოფანტული.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ N6 დაწესებულების ზოგიერთი საკნის საპირფარეშოში არსებულ ნიჟარებში გროვდება წყალი, საპირფარეშოებში არ არის წყლის ჩამრეცხი ავზები. N5 დაწესებულების საპატიმრო განყოფილების ზოგიერთი საკნის საპირფარეშოებში კანალიზაცია გაუმართავია და გროვდება წყალი. N2 და N5 დაწესებულებების საშხაპეებში ტრაპებთან გუბდება წყალი. N8 დაწესებულების საშხაპეებში ზოგიერთ შხაპს არ აქვს წყლის მოსაშვები/ჩამკეტი მექანიზმი.

2015 წელს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა N3 დაწესებულებაში არსებული წყალმომარაგების პრობლემის აღმოსაფხვრელად, თუმცა რეკომენდაცია არ შესრულებულა. 2016 წლისთვის აღნიშნულ დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს წყალი კვლავ გრაფიკით მიეწოდებათ.[68] წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით, პენიტენციური დეპარტამენტის წერილში ვკითხულობთ, რომ ყველა დაწესებულებაში ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან სასმელად ვარგისი წყლით, რომელიც 24 საათის მანძილზე მიეწოდებათ, გარდა #3 დაწესებულებისა, სადაც დაწესებულების გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, წყლის მიწოდება შეზღუდულია ღამის საათებში.

სანიტარული კვანძის პრივატულობა

საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2014 წლის 19 დეკემბერს, წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რომ იმ ადგილების ჩამონათვალს, სადაც არ შეიძლება განხორციელდეს მეთვალყურეობა, დამატებოდა საკანში არსებული საპირფარეშოები, თუმცა, როგორც ომბუდსმენი აღნიშნავს, მითითებული წინადადება მინისტრს არ გაუზიარებია.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ N3 დაწესებულების სამარტოო და უსაფრთხო, N6 დაწესებულების უსაფრთხო და N8 დაწესებულების დეესკალაციის ოთახებში სანიტარული კვანძი არ იყო იზოლირებული.

67 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2016 წელს საქართველოში ადამინის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 95-96.

68 იქვე, გვ 96-97.

საკნებში დამონტაჟებული იყო ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემა (ვიდეოკამერები), რომლის არეალშიც ექცეოდა საპირფარეშოს სივრცე და უზრუნველყოფილი არ იყო პრივატულობა. ანალოგიური მდგომარეობა იყო N15 დაწესებულების დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში, სადაც განლაგებული იყო საკარანტინო და სამარტოო საკნები.

N7 დაწესებულებაში არსებულ საკნებში საპირფარეშოები მცირე ზომის იყო, არ არსებობდა ვენტილაციის სისტემა და ჩამრეცხი ავზები. მართალია, საპირფარეშო იზოლირებული იყო საკნის დანარჩენი ფართისგან, მაგრამ საპირფარეშოს კარის ზედა ნაწილში დარჩენილი იყო ღია სივრცე, საიდანაც ვენტილაციის სისტემის არარსებობის პირობებში, არასასიამოვნო სუნი საკანში აღწევდა.[69] საპირფარეშოებთან დაკავშირებით, სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებულ წერილში არნიშნულია, რომ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში საპირფარეშოები ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებულია, შესაბამისად, პირვატულობა უზრუნველყოფილია. არცერთი დაწესებულების სანიტარულ კვანძში არ არის დამონტაჟებული ვიდეოკამერა.

პატიმრის პირადი ჰიგიენა/თეთრეული

N2, N6 და N18 დაწესებულებებში მყოფი პატიმრების გადმოცემით, პირადი ჰიგიენის ნივთებს მათ მხოლოდ დაწესებულებაში შესახლების დროს აძლევენ, ხოლო შემდგომ მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში. რიგ შემთხვევებში, დაწესებულების თანამშრომლები უმარტავენ, რომ მარაგში აღარ აქვთ ჰიგიენის ნივთები. მაგალითად, N2 დაწესებულებაში მოთხოვნის შემთხვევაში საკანს მხოლოდ ერთ ან ორ საპონს აძლევენ, მიუხედავად იმისა,რომ საკანში ორზე მეტი პატიმარია. ანგარიშში მითითებულია, რომ N8 დაწესებულებაში, დეესკალაციის ოთახებში მყოფ პირებს არ ეძლევათ პირადი ჰიგიენის ნივთები.

N2 დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ დაწესებულებაში ქალ პატიმრებს აქვთ პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის პრობლემა, კერძოდ, ქალ პატიმრებს არ ურიგდებათ ჰიგიენური საფენები. მათთვის არ არის ხელმისაწვდომი ტანისა და სახის მოვლის საშუალებები.[70] პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული განმარტების თანახმად, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს გადაეცემათ პირადი ჰიგიენის ნივთები, კერძოდ, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, საპონი, თეთრეული, პირსახოცი (მათი რეცხვა ხდება მოთხოვნისა და საჭიროების გათვალისწინებით), ასევე მოთხოვნების, პირობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებით გადაეცემათ ჰიგიენური საშუალებები. ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს თვეში ერთხელ გადაეცემათ პირადი ჰიგიენისთვის საჭირო სხვადასხვა სარეცხი და დასაბანი საშუალებები, ამასთან ყველა ჰიგიენური საშუალების შეძენა შესაძლებელია დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში. დეპარტამენტის პასუხის თანახმად, წლების მიხედვით თეთრეულისა და ჰიგიენური საშუალებებისთვის გაწეული საერთო ხარჯი შემდეგნაირად გამოიყურება:

2014 წელი - 758902 ლარი

2015 წელი - 962779 ლარი

2016 წელი - 89735 ლარი

2017 წელი - 742703 ლარი

2018 წელი - 563181 ლარი

როგორც ვხედავთ, 2016 წელს ჰიგიენური საშუალებებისთვის გაღებული ხარჯები დრამატულად შემცირდა, თუმცა ბრალდბულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის მნიშვნელოვან კლებას ეს არ უკავშირდება (2015 წელს - 9716 ბრალდებული/მსჯავრდებული; 2016 წელს - 9334 ბრალდებული/მსჯავრდებული). ამავე წერილის თანახმად, ქალი ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური პაკეტებით, ასევე მათთვის საჭირო სხვა ჰიგიენური საშუალებებით, რომლებიც გადაეცემათ ყოველთვიურად და დამატებით საჭიროებისამებრ. რაც შეეხება დეესკალაციის ოთახებში მსჯავრდებულთა პირადი ჰიგიენის ნივთების უზრუნველყოფას, ამაზე სამინისტროდან პასუხი არ მიგვიღია.

სუფთა ჰაერზე ყოფნის/გასეირნების უფლება

N2 დაწესებულებაში სასეირნო ეზოები ზემოდან ნაწილობრივ გადახურულია; ეზოში დგას ხის გრძელი სკამები და ურნები, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. N2, N6, N8, N9, და N17 დაწესებულებების სასეირნო ეზოებში არსებული მდგომარეობა არ იძლევა სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობას. სასეირნო ეზოები არ არის აღჭურვილი სავარჯიშო ინვენტარით. N3 დაწესებულების სასეირნო ეზოში მხოლოდ 1 ტურნიკია დამონტაჟებული. პატიმართა ფიზიკური აქტივობების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სასეირნო ეზოების სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვა. N14 დაწესებულებაში არსებული საფეხბურთო მოედანი მოუწყობელია. კერძოდ, ასფალტზე არ არის დაგებული ხელოვნური მინდვრის საფარი. გარდა ამისა, არ არის საფეხბურთო კარები. ასევე დაზიანებულია კალათბურთის ფარები. ანგარიშის თანახმად, N7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები

69 იქვე, გვ 98-100.
70 იქვე, გვ 100-101.

უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასეირნო ეზოების მდებარეობისა და მოწყობის გამო. სასეირნო ეზოები მცირე ზომისაა და ისეთ ადგილზეა მოწყობილი, სადაც ჰაერი ფაქტობრივად არ მოძრაობს. სასეირნო სივრცე შემოსაზღვრულია დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლის კედლებით და გადახურულია გისოსებითა და მეტალის ბადით. N3 და N8 დაწესებულებებში სასეირნო ეზოების მოწყობასთან დაკავშირებით სახალხო დამცველს 2015 წლის ანგარიშშიც ჰქონდა რეკომენდაცია,რომელიც არ შესრულებულა.[71]

ინფრასტრუქტურა

2016 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციური დეპარტამენტის N7, N8, N9, N18 და N19 დაწესებულებებში არ არის ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა. N7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გარდა, ზემოთ ჩამოთვლილ დანარჩენ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისთვის, პერიოდულად გადაჰყავთ სხვა დაწესებულებებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია მითითებულ დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2014 და 2015 წლების საპარლამენტო ანგარიშებში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ყველა დაწესებულებაში გამოყოფილიყო ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნებოდა საშუალება, შეხვედროდა პატიმარს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე. აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. 2015 წელს საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველეყო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და პირობების გაუმჯობესება. 2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ: სარემონტო სამუშაოები ჩატარდა N3, N2, N5, N6, N8, N9, N12, N14, N16, N17 და N19 პენიტენციურ დაწესებულებებში. მიმდინარეობდა ლაითურის მშენებარე პენიტენციური დაწესებულების ძირითადი სარეჟიმო შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მოიცავდა გისოსების, კარ-ფანჯრების და ფასადის მოწყობას.

N3 პენიტენციურ დაწესებულებაში დასრულდა პირველ სართულზე განთავსებული საკნების სარემონტო სამუშაოები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საწოლებს, რომლებიც გადაკეთდა ერთსართულიანებად, რაც შემდგომში მოხსნის საკნებში გადატვირთულობის პრობლემას.

N2 პენიტენციურ დაწესებულებაში გარემონტდა დაწესებულების საკნები, საშხაპე ოთახები, ხანმოკლე პაემნების ოთახები; დაწესებულებაში მოეწყო დეესკალაციის 4 ოთახი; D სარეჟიმო შენობის საევაკუაციო კიბეს ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები; დაწესებულების გარშემო მოეწყო დამატებითი დამცავი უსაფრთხოების ბარიერი, ე.წ. „ბუფერული“ ზონა; გარემონტდა სამედიცინო დანიშნულების ოთახები, მოეწყო ახალი სტომატოლოგიური კაბინეტები, რენტგენის ოთახი, სასტერილიზაციო და ა.შ; დაწესებულებაში განთავსებული საბადრაგო სამსახურისათვის მოეწყო ახალი,კაპიტალურად გარემონტებული ოთახები.

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ექსპლუატაციაში შევიდა ხანგრძლივი პაემნების ახლად აშენებული შენობა; კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების საშხაპე ოთახები, საკნები, სამედიცინო დანიშნულების ოთახები, ადმინისტრაციული შენობა და ა.შ; მოეწყო ფიტნესის ოთახები.

N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო თანამედროვე საკნები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებისთვის, საშხაპე ოთახები, ასევე აღიჭურვა თანამედროვე ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებებით.

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო პურის საცხობის შენობა; სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა დაწესებულების სამედიცინო ოთახები, მოეწყო სტომატოლოგიური კაბინეტები, რენტგენის ოთახი, სასტერილიზაციო და ა.შ.

N9 პენიტენციურ დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების საშხაპე და სამედიცინო ოთახები, მოეწყო სტომატოლოგიური კაბინეტი და სასტერილიზაციო ოთახი, ასევე გარემონტდა დაწესებულების აფთიაქი; სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ამანათების ოთახსაც, დაწესებულების შესასვლელში მოეწყო პირადი შემოწმებისთვის განკუთვნილი ოთახები.

N12 დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი შენობა,სადაც მოეწყო საშხაპე ოთახები,სასადილო ოთახი.

N14 პენიტენციური დაწესებულების ტერიტორია აღიჭურვა თანამედროვე ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემებით და მოეწყო ელექტრონული მეთვალყურეობის ახალი ოთახები; დასრულდა საზოგადოებრივი მისაღების სამშენებლო სამუშაოები. კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო პუნქტი; დასრულდა დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე პურის საცხობის სამშენებლო სამუშაოები; სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ადმინისტრაციულ შენობაში,მათ შორის, გარემონტდა გარე დაცვის სამსახურის ოთახები.

71 იქვე, გვ 102-103.

N16 პენიტენციურ დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე პურის საცხობის შენობას; სტანდარტების შესაბამისად მოეწყო დაწესებულების სამედიცინო ოთახები; დასრულდა ეზოს ტერიტორიაზე ღია სატრენაჟორო ფარდულის სამშენებლო სამუშაოები; სასადილოს შენობაში მოეწყო კულინარიის შემსწავლელი კურსებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა; გარემონტდა დაწესებულების საშხაპე ოთახები.

N17 პენიტენციურ დაწესებულებაში მომზადდა სასადილო-სამზარეულო შენობის საპროექტო დოკუმენტაცია; მიმდინარეობდა სასადილო-სამზარეულო შენობის კაპიტალური სარეკონსტრუქციო სამუშაოები; გარემონტდა დაწესებულების სამედიცინო ოთახები; დაწესებულების გარე დამცავ ზღუდეზე მოეწყო დამატებითი უსაფრთხოების დამცავი ბარიერები; დაწესებულების გარშემო მოეწყო უსაფრთხოების დამცავი ბარიერი, ე.წ „ბუფერული ზონა“.

N19 პენიტენციურ დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ოთახები.[72]

საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ

სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ, ომბუდსმენი მიესალმება სამინისტროს ძალისხმევას გეგმური სარემონტო სამუშაოების ჩატარების გზით, მატერიალური პირობების (ინფრასტრუქტურის ცვეთით გამოწვეული) გაუარესების თავიდან ასაცილებლად, თუმცა მიუხედავად მცდელობისა, კვლავაც არსებობს პრობლემები საკნებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მხრივ, სათანადო ვენტილაციასთან და საკმარის განათებასთან დაკავშირებით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, უმთავრეს პრობლემას მოქმედი დაწესებულებების სიდიდე, არქიტექტურული დიზაინი და პატიმართა განთავსების პრაქტიკის თავისებურება წარმოადგენს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ N14 და N17 დაწესებულებებში კვლავაც ფუნქციონირებს ძველი, ე.წ. ბარაკული ტიპის საცხოვრებლები, სადაც მწეველი და არამწეველი პატიმრები ერთ სივრცეში ცხოვრობენ, რთულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროება; გარდა ამისა, ასეთი ტიპის საცხოვრებელი უსაფრთხების დაცვის თვალსაზრისითაც დამატებით, მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოშობს, ვინაიდან პირადი სივრცის არქონის პირობებში მეტია პატიმართა შორის კონფლიქტის რისკი. N2, N8, N12, N14, N15, N17 დაწესებულებებში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ყველა მსჯავრდებულის პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი 4 კვ.მ. მინიმალური პირადი ფართით უზრუნველყოფა. ეს გამოწვეულია არა შესაბამისი ტიპის დაწესებულებებში ადგილების საკმარისი რაოდენობის არარსებობით, არამედ პატიმართა დაწესებულებაში შეუსაბამო განთავსებით. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად ღია ტიპის სხვა დაწესებულებებში არის ლიმიტით განსაზღვრული ადგილების საკმარისი რაოდენობა, N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა რაოდენობა, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, დადგენილ ლიმიტს 328-ით აღემატებოდა. ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან გვეცნობა, რომ მინიმალური ფართის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო დოკუმენტებს. პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, მსაჯვრდებულებზე მინიმალური საცხოვრებელი ფართი შეადგენს 4 კვ.მ-ს, ხოლო ბრალდებულებზე 3 კვ.მ-ს, რაც შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. კითხვაზე თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში რამდენი და რამდენ ადგილიანი საკანი/საცხოვრებელი ოთახი არსებობს (თითოეული ტიპის საკნის ფართისა (სანიტარული კვანძის გამოკლებით) და მასში ამჟამად მოთავსებული პატიმრების რაოდენობის მითითებით), აგრეთვე შეკითხვაზე თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში რა მანძილია საკნების კედლებს, ასევე იატაკსა და ჭერს შორის, დეპარტამენტმა გვაცნობა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #507 დადგენილების შესაბამისად, ეს ინფორმაცია განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას. რაც შეეხება მწეველი და არამწეველი პატიმრების ერთად განთავსებას, პენიტენციური დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ დაწესებულებებში არ არის ბარაკული ტიპის საცხოვრებლები, რაც შეეხება თამბაქოს მოხმარებას, არამწეველი ბრალდებული/მსჯავრდებული, როგორც წესი ცალკე თავსდება თამბაქოს მომხმარებელი ბრალდებულის/მსჯავრდებულისგან. ერთად მათი მოთავსება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის თაობაზე არამწეველი ბრალდებულის/მსჯავრდებულისგან გაცემულია წერილობითი თანხმობა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შენობების ფართობი პრაქტიკულად სრულად უჭირავს საკნებს, არ არის გამოყოფილი და მოწყობილი სათანადო ინფრასტრუქტურა დღის აქტივობებისთვის. პრობლემებია სასეირნო ეზოების დაგეგმარების, დიზაინისა და მოწყობის კუთხით. დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში სასეირნო ეზოებში არსებული მდგომარეობა არ იძლევა სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობას. სასეირნო ეზოები არ არის აღჭურვილი სავარჯიშო ინვენტარით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ აუცილებელია, დაწესებულებებში შეიქმნას სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშის სათანადო პირობები, მოეწყოს ეზოები სავარჯიშო ინვენტარით და, ამასთანავე, გაიზარდოს ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა. ასევე შესაძლებელია დახურული ტიპის დაწესებულებების შენობებში, ფლიგელების მიხედვით, საკნების გადაკეთების ხარჯზე

72 იქვე, გვ 103-106.

მოეწყოს სივრცეები სპორტული და სხვა რეკრეაციული აქტივობებისთვის.[73] როგორც პენიტენციური დეპარტამენტიდან გვეცნობა, #2, #3, #6, #7, #8, #9, #16, #18, #19 პენიტენციურ დაწესებულებებში სასეორნო ეზოების ფართის ნაწილი გადახურულია და მათი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ამინდის დროს, წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ყველა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მოწყობილია სასეირნო ეზოები, ვარჯიშისა და ფიზიკური აქტივობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ზოგადად, მნიშვნელოვანია, არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, სამინისტრომ შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფის და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფცია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. მცირე დაწესებულებების შექმნა გაამარტივებს დაწესებულების მართვას, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, შექმნის უკეთეს წინაპირობას სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად. [74]

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საანგარიშო პერიოდში პრობლემად რჩება პატიმრების დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა. აღნიშნულ ოთახში მოთავსებისას არ ხდება დაწესებულების თანამშრომლების მულტიდისციპლინური ჩარევა რისკების შემცირების და აღმოფხვრის მიზნით. პატიმრებს აკრძალული აქვთ გარე სამყაროსთან კონტაქტი, არ მიეწოდებათ ტანსაცმელი და ჰიგიენური საშუალებები. კვლავ პრობლემას წარმოადგენს დეესკალაციის ოთახებში არსებული გარემო და პირობები. ოთახები არ არის უსაფრთხო და მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. გარდა ამისა, არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ ვადად 24 საათის დაწესების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით განსაზღვრულია მხოლოდ პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების ხანგრძლივობა (72 საათი), მაშინ როდესაც პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების რაოდენობა შეზღუდული არ არის. აღნიშნული შესაძლებელს ხდის პირის დეესკალაციის ოთახში შეუზღუდავად, ზედიზედ რამდენჯერმე მოთავსებას. უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმის შესახებ, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება შესაძლოა იყოს მხოლოდ იმწუთიერი, გადაუდებელი ღონისძიება და პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს სხვა ზომებს, მათ შორის, მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) მიერ პატიმრისათვის ადეკვატური დახმარების გაწევით. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსება არის წესრიგის და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით პატიმრის მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიება, რა დროსაც მომატებულია პატიმრის მიერ თვითდაზიანების ან მის მიმართ ძალის გამოყენების რისკი, რაც, თავის მხრივ, ზრდის ამ პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკს. შესაბამისად, 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რომ დეესკალაციის ოთახებში ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობით განხორციელებული ჩანაწერები, ყველა შემთხვევაში, ინახებოდეს არანაკლებ 1 თვის ვადით, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. სახალხო დამცველს დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ვიდეოჩანაწერების შენახვა ტექნიკურად შესაძლებლად მიაჩნია დაარქივების გზით მოხდეს.[75]

73 საქართველოს სახალხო დამცველის აგარიში (2017 წელს საქართველოში ადამინის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ), გვ 46-48.

74 იქვე, გვ 19.

75 2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, გვ 15.